ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 1 თებერვალი 1994 № 5 (80) ფასი 4000 კუპონი



2 მსოფლიოს ჩემპიონატზე სათადარიგო შემადგენლობით





რუსული ბუნტი გრძელდება

3 ჯონ ტოშაკი





ჩვენი მეტოქის ახალი მწვრთნელი

5 „ჰიუსტონი“ ლიდერობს
NBA-ს ამბები

7 გრაფმა წრე შეკრა
AUSTRALIAN OPEN
მალე დაბრუნდი, მონიკა!


# „დინამომ“ სამივე მატჩი მოიგო!

## ხვალ თბილისელი ფეხბურთელები «თანამეგობრობის თასის» ნახევარფინალში ფერღანის «ნეფთჩის» შეხვდებიან.

### „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტი მამუკა კვარაცხელია მოსკოვიდან გვატყობინებს:

თბილისის დინამოელები მოსკოვში ტურნირის დაწყებამდე წინა დღეს ჩავიდნენ და შუადღეს გადაცილებული იყო, სასტუმროში რომ დაბინავდნენ. აღმოჩნდა, რომ „თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის“ მონაწილე სხვა გუნდებიც სწორედ ასე მოიქცნენ და 28 იანვარს ესტუმრნენ ყოფილ დედაქალაქს. გამონაკლისი მხოლოდ ერევნის „არარატი“ გამოდგა, რომელიც თურმე კვირაზე მეტია, რაც მოსკოვში იმყოფება და მანეჟებში ვარჯიშობს. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა პარასკევ საღამოს 45 წუთიანი ვარჯიში ჩაატარეს. ეს იყო და ეს. ვარჯიშზე მოსული რუსი ჟურნალისტები ქინქლაძეს და არველაძეებს კითხულობდნენ.

**29 იანვარი**

ტურნირი ჯგუფში ჩვენი მეტოქეების, დუშანბეს „სიტორასა“ და აღდამის „ყარაბაღის“ მატჩით გაიხსნა. როგორც მოგვიანებით გაიგებთ, ტაჯიკთა მწვრთნელს ყველაზე მეტად ალაჰის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, აზერბაიჯანელები კი მარტო ღმერთს არ დაჰყურებდნენ, ცოტა ხელიც (უფრო სწორად ფეხიც) გაანძრიეს და მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს. „ყარაბაღის“ დამრტყმელი ძალაა ორი თავდამსხმელი — აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მოგვარეები: ალიევი და ჰუსეინოვი. ამის გამგონეს უკვე აღარ გამიკვირდა, როცა მითხრეს, რომ ნახევარდაცვის ლიდერი... მუტალიბოვი ყოფილა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ორი გოლის ავტორმა ალიევმა — იგი კარგად ურტყამს ორივე ფეხით, თანაც დიდი სისწრაფის და შესაშური ტექნიკის პატრონიცაა. როგორც ჩანს, სწორედ მეზობლები იქნებიან დინამოელთა მთავარი კონკურენტები ნახევარფინალში გასვლისთვის ბრძოლაში.

რიგით მეორე შეხვედრაში კონკურსგარეშე მონაწილე მოსკოვის „დინამომ“ აშხაბადის „კოპეტ-დაღს“ მოუგო 3:2. „კოპეტ-დაღი“ შარშან ამ ტურნირზე ჩვენი მეტოქე იყო და „დინამოს“ კინაღამ მოუგო. თურქმენებმა ამჯერადაც კარგად ითამაშეს, მაგრამ საფრანგეთიდან დაბრუნებული ხიდიატულინისა და ძმების, იგორ და სერგეი ნეკრასოვების კარგმა თამაშმა გამარჯვება კონსტანტინე ბესკოვის გუნდს მოუტანა.

ამის შემდეგ შედგა თბილისის „დინამოს“ პირველი თამაში, თუმცა ვიდრე თავად მატჩზე გადავიდოდეთ, წარმოგიდგენთ მეტოქე გუნდს.

„რომარი“ მაეეკიაი, ლიტვა. დაარსდა 1947 წელს. გამოდიოდა „ატმოსფეროს“, „იოვარასის“ და „მაჟეიკიაის“ სახელ-

იხილეთ მეორე გვერდი

# საერთაშორისოს ნაცვლად – საშინაო

შაბათს სპორტის სასახლესთან მისულ ჭიდაობის მოყვარულებს მეტად უცნაური სურათი დახვდათ: შენობის ყველა კარი დაკეტილი იყო და მხოლოდ მონაწილეთა შესასვლელთან ირეოდნენ დაბნეული მოჭიდავეები, მწვრთნელები და სპეციალისტები. თბილისის ვახტანგ ბალავაძის სახელობის 32-ე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კი ჩაშლის პირას იყო მისული: არცერთი მოწვეული გუნდი არ ჩანდა. ჭიდაობის ფედერაციის თავკაცები, ვისაც ამხელა შრომა წყალში ეყრებოდათ, ტელეგრაფიდან სელჩოებში მიდი-მოდიოდნენ, სტუმართა ჩამოუსვლელობის მიზეზი რომ დაედგინათ. მათი სასახლესთან მოსვლის შემდეგ შემდეგი შევიტყვეთ:

აზერბაიჯანელებს თითქმის ორი კვირის მანძილზე ტელეფონით ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენს ფედერაციასთან და ჩამოსვლაზე ლაპარაკი რა საკადრისია, იქნებ უკან დასაბრუნებელი ბილეთებიც დაგვიჯავშნოთო. ქართველებმა ეს თხოვნა შეასრულეს, მაგრამ მეზობლებმა ხუთშაბათს საღამოს კვლავ დარეკეს — სწორედ უკან დასაბრუნებელი ბილეთების ფულს ვერ ვშოულობთ და ალბათ ველარ გეწვევითო. სომხეთის გუნდსაც ველოდით. მაგრამ მათს სამშობლოში თურმე რკინიგზა აუფეთქებიათ და ერევნის მატარებელი სამი დღეა არ დადის. ერთადერთ იმედად ირანის ნაკრები რჩებოდა. ჩვენებმა წინისწარ დაიჭირეს თადარიგი და ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე — ასტარაში კაცი გააგზავნეს. პარასკევს საღამოს, როცა ბაქო-თბილისის მატარებელი ჩამოვიდა, თოთხმეტი ირანელისთვის განკუთვნილი ადგილები ცარიელი იყო. არც ასტარადან ისმოდა ქართველი მაცნეს პასუხი. ამ არეულ-დარეულ დროში რა სავარაუდო წინააღმდეგობა არ გაგვახსენდა: საბაჟო კონტროლი, რეკეტი, ყაჩაღობა, ყველაზე ნაკლებად კი იმ ვერსიას ვუშვებდით, რომელიც მართალი აღმოჩნდა: ირანის გუნდი საერთოდ არ დაძრულა თეირანიდან. არადა, ტურნირის დაწყებამდე ორი დღით ადრე ორი ტელექსი გამოგზავნა — მოვდივართ და დაგვხვდითო. ერთი სიტყვით, ყველა სტუმარმა ზურგი შეგვაქცია, მაგრამ ჭიდაობის თავკაცთა გადაწყვეტილებით თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამართვა მაინც გადაწყდა და მონაწილეებმა მზადება დაიწყეს. მაყურებლები კი, დაგვიანებული სტარტის მოლოდინში იმ დროინდელი ამბების გახსენებით იქცევდნენ თავს, როცა სპორტის სასახლის ფლაგშტოკზე უამრავი დროშა ეკიდა. ამ დღეს კი გაყინული დარბაზის ჭერში მხოლოდ საქართველოს და ფილა-ს დროშას თუ მოკრავდით თვალს.

ათივე წონითს კატეგორიაში 50-მდე ფალავანმა მოიყარა თავი. წინასწარ შეხვედრებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ფავორიტებად შერაცხულებმა მეტ-ნაკლები სიმარტივით გაიკაფეს გზა ფინალისკენ. თუმცა ზოგიერთ წონაში ეს საჭიროც არ იყო — ორ მოჭიდავეს ფინალამდე აბა რა უნდა გაერკვია.

**48 კგ.** აქ ფინალი არ შედგა. წრიული სისტემით ჩატარებულ ასპარეზობაში ჩემპიონი თავიდანვე გამოვლინდა — იოსებ მომცემლიძემ ორივე მეტოქე დაამარცხა და მეორე ადგილისთვის გამართულ შეხვედრას დამშვიდებული უყურებდა. აქ ოთარ თუშიშვილმა ქულებით დაამარცხა გიორგი იანტბელიძე.

**52 კგ.** ამ წონის ფინალი ზუსტად 15 საათზე დაიწყო და საქენერგოს გრაფიკის მიხედვით დენი გამოირთო. გოჩა კირკიტაძეს და თამაზ ყულოშვილს სიბნელეში გააგრძელებინეს ჭიდაობა და ქულების დათვლაც ტაბლოს ნაცვლად ქაღალდზე გაგრძელდა. შუქი რამდენიმე წუთში მოვიდა, მაგრამ კირკიტაძე არ დაეთანხმა ანგარიშს და როცა ქულებით დამარცხებულად გამო-

იხილეთ მეოთხე გვერდი



# საქართველოს გუნდი ლილეჰამერში

28 იანვარს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის დელეგაციის გამგზავრებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა, გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯანო ბაგრატიონმა. თავდაპირველად საუბარი შეეხო იმ სპორტსმენებს, რომლებიც ნორვეგიაში იასპარეზებენ. ითქვა, რომ თავიდანვე სოკ-ს ჩვენი ქვეყნისთვის უპირობოდ გამოყოფილი ჰქონდა ორი ადგილი, რომელიც ლევან თიბილოვისა და კახა ვახტანგიშვილის მოციგავეთა წყვილს გადაეცა, დანარჩენ სპორტსმენებს კი დადგენილი საერთაშორისო წესის თანახმად ოლიმპიადაზე წასასვლელად გარკვეული ნორმატივი უნდა შეესრულებინათ. ნორმატივი სამთო მოთხილამურეთაგან ზურაბ ჯიჯიშვილმა შეასრულა. ბოლო შეჯიბრებებში კარგად იასპარეზა ტრამპლინიდან მხტომელმა კახა წაქაძემ. სამთო მოთხილამურე გიორგი გავა თავად ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ ამოაგდო, რადგან მან ფედერაციისთვის ყურადსაღებ ერთ-ერთ შეჯიბრებაში არ მიიღო მონაწილეობა. ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის დიდი მეცადინეობით ლილეჰამერის აკრედიტაცია მიიღო გავას ორმა კოლეგამ ლევან აბრამიშვილმა და გოჩა ჭელიძემ, მაგრამ ჭელიძეს ფეხი დაუშავდა და ნაკრებს ავტომატურად გამოეთიშა, აბრამიშვილი კი ოლიმპიურ ტრასაზე გამოვა თუ არა, ადგილზე გადაწყდება, რადგან აკრედიტაცია ერთია, მონაწილეობის უფლება კი — მეორე. სპორტსმენებს სამი მწვრთნელი მიყვებათ: ვარდენ თიბილოვი, გერა აბრამიშვილი და კობა წაქაძე.

შემდეგ საუბარი სპორტული თემიდან ფინანსურზე გადავიდა. ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს იმ სირთულეებზე, რომლებსაც ისინი საოლიმპიადო ფულის შოვნისას წააწყდნენ. თქვეს, რომ ასეთ ღონისძიებებს თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი სპონსორებთან ერთად სახელმწიფო აფინანსებს. ჩვენმა სახელმწიფომ კარგა ხანს ვერ შეძლო ბიუჯეტიდან სპორტის დეპარტამენტის ანგარიშზე სეოკ-ისთვის აუცილებელი დამატებითი 30 ათასი დოლარის ჩარიცხვა. ნონა გაფრინდაშვილმა თქვა, რომ ქვეყნის სიდუხჭირის გათვალისწინებით, იგი არიდებდა თავს ხელისუფლების ზედმეტად შეწუხებას, მაგრამ მას მერე, რაც სეოკ-ის გენერალური სპონსორი „კავკასიის კონცერნი“ საკუთარ პრობლემებს შეეჯახა, იგი იძულებული შეიქნა კვლავ მთავრობისთვის მიემართა. ბოლო ორი თვის მანძილზე მშვიდად არ მძინებია — თქვა მან — საქმეს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის ჩარევამ უშველა.“

ჯანო ბაგრატიონმა კითხვაზე, თუ რას ელის ჩვენი სპორტსმენებისგან, უპასუხა, რომ მას მოციგავეთა ათეულში მოხვედრის იმედი აქვს, სხვებისგან კი კარგ შედეგს არ მოელის. ითქვა, რომ საქვეყნოდ ცნობილი „პუმა“ ჩვენი დელეგაციის გახსნის ცერემონიალზე გამოსასვლელად საპარადო ფორმებს კერავს. სახელმწიფო დროშას კახა ვახტანგიშვილი გაიტანს.

და ბოლოს, ქართველებს როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ გვჯერა, სავსებით დამოუკიდებელი გუნდით რომ ვასპარეზობთ, რადგან ამ თემაზე რამდენჯერმე ჩამოვარდა სიტყვა. კითხვაზე, სნგ-სა და სამანეთო სივრცეში შესვლის მაგვარად, ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზიით რომ მოგვიწოდონ კვლავ გაერთიანებულ გუნდში შებრუნება, რას იზამთო, ნონა გაფრინდაშვილმა უპასუხა იმ დღესვე წავალ სეოკ-იდან და მოჭადრაკეობას დავუბრუნდებიო.

ილია ბაბუნაშვილი

ზამთრის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მეხუთე და მერვე გვერდებზე

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბით. ახლანდელი სახელწოდება გუნდს შარშან დაერქვა, როცა კლუბი ლიტვის ერთ-ერთმა უმდიდრესმა კაცმა, 29 წლის რომას მარცინკიავიჩუსმა იყიდა. „რომარი" სწორედ მეპატრონის სახელ-გვარის შემოკლებული ვარიანტია.

გუნდის მწვრთნელია 56 წლის ფიოდორ ფინკელისი, რომელმაც მატჩის წინ განაცხადა: მართალია ჩვენ ლიტვის ჩემპიონები არა ვართ, მაგრამ ტურნირზე მაინც მოგვიწვიეს, ვინაიდან 1993-94 სეზონის პირველი წრის შემდეგ პირველ

## 30 იანვარი

უკვე გუშინ ღამით ტურნირზე აკრედიტებული ჟურნალისტები „შეთანხმდნენ", რომ დღეს „დინამო" „სიტორას" მოუგებს, აზერბაიჯანელები კი — ლიტველებს და გადამწყვეტი მატჩი მეზობლებს შორის ორშაბათს შედგება. ასეც მოხდა, თუმცა ჯერ ჩვენი დღევანდელი მეტოქე გავიცნოთ.

„სიტორა" დუშანბე, ტაჯიკეთი. დაარსდა 1990 წელს. შარშან ქვეყნის თასიცა და ჩემპიონობაც მოიპოვა. გუნდის მწვრთნელია 33 წლის ზაირ ბაბაევი. სიტყვა „სიტორა" ტაჯიკურად ვარსკვლავს ნიშნავს.

ლება დატოვა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნანი და ტესტიმიცანუ, რომლებიც 1991 წელს უკვე შეხვედრიან საქართველოს ნაკრებს. ტესტიმიცანუმ გოლიც გაუტანა „სპარტაკს", რომელმაც ბესჩასტნიხის, ლედიახოვისა და ციმბალარის კარგი თამაშის წყალობით გაიმარჯვა.

შემდეგ მატჩში უკვე გაირკვა ის გუნდი, რომელსაც ნახევარფინალში ჩვენი ჯგუფის გამარჯვებული უნდა შეხვდეს — ფერღანის „ნეფთჩი", რომელმაც მოულოდნელად დიდი ანგარიშით მინსკის „დინამოს" მოუგო 5:1, თუმცაკი ბელარუსები იგებდნენ კიდეც.

# «დინამომ» სამივე მატჩი მოიგო!

ადგილზე ვართ და „ჟალგირისს" ერთი ქულით ვუსწრებთ. ახალგაზრდული გუნდი გვყავს — საშუალო ასაკი 20,5 წელია. ტურნირს მეორე წრისთვის მზადებისათვის ვიყენებთ, თუმცა მაინც გვინდა, რომ ლიტვური ფეხბურთი ღირსეულად წარმოვაჩინოთ. მოსკოვში ჩამოსვლამდე ორჯერ ვეთამაშეთ სანქტ-პეტერბურგის „ზენიტს" და ორივეჯერ ფრედ დავამთავრეთ მატჩი (2:2, 1:1). სამწუხაროდ, თბილისის „დინამოს" მხოლოდ პრესის საშუალებით ვიცნობ, მაგრამ მაინც ვთვლი: თუ ვინმე შეუშლის ხელს „სპარტაკს" ტურნირის მოგებაში, ეს „დინამო" იქნება.

...შეხვედრას სამი ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო და მათი უმრავლესობა ქართველი იყო. პირველი ოცი წუთი თბილისელებმა შებოჭილად ჩაატარეს და ამ დროს ფიზიკურად კარგად მომზადებულმა ლიტველებმა ორჯერ სახიფათოდ დაარტყეს კარში. შუა ტაიმში გარდატეხა მოხდა: მარჯვენა ფრთაზე რევიშვილი უკვე აშკარად სჯაბნიდა მეტოქეთ, ცენტრში კი ინალიშვილი და ანჩაბაძე ამუშავდნენ. მორიგი შეტევისას მარცხენა ფრთიდან ლიტველთა საჯარიმოში შევარდნილი ყაველაშვილი წააქციეს და ინალიშვილმა გახსნა ანგარიში. ტაიმის ბოლოსწინა წუთზე მანვე 35-37 მეტრიდან ულამაზესი გოლი გაუტანა „რომარის" მეკარეს. მეორე ტაიმი ისევ დინამოელთა შეტევებით დაიწყო და მეტოქე საკუთარ კარს მიეჯაჭვა. „გაიხსნა" ჯამარაული, რომელიც მანამდე ჩრდილში იყო. სწორედ მისი აქტიურობის შედეგად ყაველაშვილმა ოთხამდე გაზარდა ანგარიში. მალე მიშა კვლავ მოცელეს და ინალიშვილმა ტურნირის პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა. ამის შემდეგ გივი ნოდიამ ერთბაშად ოთხი შეცვლა გააკეთა, ლიტველებმაც ცოტა ამოისუნთქეს და ერთი გოლი გაქვითეს კიდეც. შეხვედრის შემდეგ თბილისის „დინამოს" პირველი საბჭოთა ჩემპიონობის ავტორმა გავრილ კაჩალინმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ოთხგზის ჩემპიონს და თქვა, რომ შარშანდელთან შედარებით, ბევრი დანაკლისის მიუხედავად, მაინც მშვენიერი გუნდიაო. ნოდია თამაშით და რასაკვირველია შედეგითაც კმაყოფილი იყო. მან პირველ ოც წუთს რთული უწოდა და თქვა, რომ ბიჭებს ადაპტაცია ესაჭიროებოდათ. გავესაუბრე მეტოქის მწვრთნელსაც: „ანგარიში სრულად ასახავს თქვენს უპირატესობას. დავრწმუნდი, რომ რაც უნდა მოხდეს, „დინამო" მაინც ძლიერ გუნდად რჩება. ერთი რამ კი არ მომეწონა: მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენია, ასეთი მსაჯობა ამ ტურნირს ნამდვილად არ ეკადრება.

დღის ბოლო მატჩში ფავორიტად მიჩნეულმა „სპარტაკმა" ტალინის „ნორმას" სძლია 3:0, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ ფრე იყო. მოსკოველთაგან მხოლოდ რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი ონოპკო გამოირჩეოდა. ესტონელები თითქმის სულ ვეტერანებით დაკომპლექტებული გუნდით ითამაშეს და მხოლოდ შეცვლაზე შემოსულმა 16 წლის გალიცინმა დაიმსახურა სპეციალისტთა ყურადღება.

I ჯგუფი. „სპარტაკი" მოსკოვი — „ნორმა" ტალინი 3:0, „ზიმბრული" კიშინიოვი — „ანსატი" პავლოდარი 1:0

II ჯგუფი. „კოპეტ-დაღი" აშხაბადი — „დინამო" მოსკოვი 2:3, „არარატი" ერევანი — „სკონტო" რიგა 2:3

III ჯგუფი. „ყარაბაღი" აღდამი — „სიტორა" დუშანბე 4:0 ჰუსეინოვი (14, 79) ალიევი (35, 37)

„დინამო" — „რომარი" მაჟეიკიაი 5:1

„დინამო": ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ტყებუჩავა (იაშვილი 72), რევიშვილი (ცქიტიშვილი 72), ინალიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი (სოლოღაშვილი 72), ანჩაბაძე (ქველაძე 72)

„რომარი": დილდა, მაგდიშაუსკასი, ჟუკაუსკასი (კონტოუსტასი 75), ჟუტაუტასი (იოდიკისი 63), კანჩელსკისი, მიკალიუნასი, გუდაუტისი, შუიკა (დანილიჩევასი 65), ვაინეიკისი, დონჩენკო, პოცუსი.

გოლები: ინალიშვილი (29 პ, 44, 72 პ), ყაველაშვილი (63, 69), გუდაიტისი (80 პ).

მსაჯი: პუსაინოვი (რუსეთი).

გაფრთხილება: კანჩელსკისი, ჟუკაუსკასი, ტყებუჩავა, რევიშვილი, ნემსაძე.

IV ჯგუფი. „დინამო" მინსკი — რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები 0:1, „ნეფთჩი" ფერგანა — „ალგა-რიიფ" ბიშკეკი 6:0



რვა გოლის გამტანი გელა ინალიშვილი

ზაირ ბაბაევს ტურნირის პირველ დღეს გავესაუბრე და სიმართლე რომ ვთქვა, ასეთი მორწმუნე მწვრთნელი მანამდე არ შემხვედრია. პირველი, რაც ბატონმა ზაირმა მითხრა, ეს იყო: ჩვენ გვჯერა, რომ ალაჰი გვმფარველობს და ყოველ თამაშში ვრწმუნდებით ამაშიო. ჩემს შეკითხვაზე — ამ ტურნირზეც, თუ მოგეხმარებათ-მეთქი, მიპასუხა: რა თქმა უნდა. თამაშის წინ ყველა ვლოცულობთ და იმედია, ჩვენი რიცხვა, 17 წლის გულოვი (29 გოლი ტაჯიკეთის ჩემპიონატში) თავს არც აქ შეირცხვენს. შემდეგ ბაბაევმა გაიხსენა, თუ 1981 წელს როგორ გულშემატკივრობდა მთელი ტაჯიკეთი თბილისის „დინამოს" („ის დღე არასოდეს დამავიწყდებაო"), ბოლოს კი დააყოლა: მართალია, „დინამოსთან" შანსი თითქმის არ გვაქვს, მაგრამ თუ ალაჰი გვიშველის...

მატჩის მერვე წუთზევე ცხადი გახდა, რომ ქვეყნის დაქცევა თუ უშველიდა ბაბაევსა და მის გუნდს. ამ დროს ანგარიში უკვე 2:0 იყო. ჯერ რევიშვილმა 50 მეტრიანი რეიდი შეასრულა და ბურთი ფეხზე დაასვა ყაველაშვილს, შემდეგ კი ნემსაძის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი ინალიშვილმა გამოიყენა და... დაიწყო მისი ერა, რომლის დროსაც მან კიდევ სამი გოლი გაუტანა ტაჯიკთა ორ მეკარეს. მეორე ტაიმში ნოდიამ გადამწყვეტი მატჩის მოლოდინში 5 ფეხბურთელი დაასვენა, თუმცა ტაიმის დასაწყისი კვლავ ჩვენების გოლით აღინიშნა. მალე დუშანბელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს, რასაც მათი თანამემამულე მაყურებლების არნახული აღტკინება გამოიწვია. ტრიბუნაზე ქართველები სჭარბობდნენ. მათ მოსწყინდათ „დინამოს" დუნე თამაში და ისეთი ყიჟინა დასცხეს, ფეხბურთელებმა აყოლაზე უარი რომ ვერ თქვეს და მალე იაშვილმა სუპერგოლი გაიტანა. ამ გოლმა ჩემს გვერდით მსხდომი რუსი კოლეგებიც კი აღაფრთოვანა.

მატჩის შემდეგ ბაბაევი კმაყოფილი ჩანდა: ხომ გითხარი, ალაჰი გვეხმარებათქო, გამიკვირდა, მაგრამ ტაჯიკი მწვრთნელის შემდეგმა სიტყვებმა ამიხსნა ყველაფერი — აბა ასეთ გუნდს ორ გოლს როგორ გავუტანდითო. „ჩვენ ქართველებისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და ბედნიერი ვიქნებით, თუ ჩვენს შორის კონტაქტები დამყარდება" — დასძინა ბაბაევმა.

გივი ნოდიამ, რომლის გუნდსაც ამ დღეს ანგინაშეყრილი ჯამარაული აკლდა, განაცხადა, რომ „ყარაბაღთანაც" მოგებაზე ვითამაშებთ, თუმცა კი ფრეც გვყოფნისო. აქვე ნიკოლაი სტაროსტინიც მოვიხელთე: ჩემი აზრით, ფინალში თბილისის „დინამო" და „სპარტაკი" გავლენ და სულ არ გამიკვირდება, ქართველებმა რომ მოიგონო.

თავად სტაროსტინის გუნდი „სპარტაკი" კიშინიოვის „ზიმბრულს" შეხვდა. ჩვენი ნაკრების მომავალი მეტოქის, მოლდოვას ნაკრების საბაზო გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

I ჯგუფი. „სპარტაკი" — „ზიმბრული" 3:1, „ანსატი" — „ნორმა" 7:1

II ჯგუფი. „კოპეტ-დაღი" — „არარატი" 4:1, მოსკოვის „დინამო" — „სკონტო" 2:0

III ჯგუფი. „ყარაბაღი" — „რომარი" 2:1 აბუშევი (48), გუსეინოვი (62); პოცუსი (42)

„დინამო" — „სიტორა"

„დინამო": ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი (ხუჯაძე 46), ლობჟანიძე, ტყებუჩავა, რევიშვილი (ქველაძე 46), ინალიშვილი, ნემსაძე (კიკნაძე 46), სოლოღაშვილი, ყაველაშვილი (ცქიტიშვილი 46), ანჩაბაძე (იაშვილი 46).

„სიტორა": გიაუროვი (ხარიტონოვი 46), რუზიბაევი (უმარბაევი 35), ხომიდოვი, სალოხიდინოვი (იგამბერდიევი 40), კამილოვი (ტოლიბოვი 46), შარიპოვი, იაფაროვი (იუსუპოვი 73), ყურბანოვი, ფუზაილოვი (ტურდინაზაროვი 49), ბობოხინოვი (აშუროვი 73), ტუხტაევი.

გოლები: ყაველაშვილი (4), ინალიშვილი (83, 35, 41, 52), ტოლიბოვი (55), ბობოხინოვი (59 პ), იაშვილი (84).

მსაჯი: ობიედკოვი (ყაზახეთი).

IV ჯგუფი. „ნეფთჩი" — მინსკის „დინამო" 5:1, რუსეთი — „ალგა-რიიფ" 10:0.

## 31 იანვარი

დღეს გადამწყვეტი მატჩია მეზობელი აზერბაიჯანის ჩემპიონთან, ამიტომ უფრო ახლოს გავეცნოთ მას.

„ყარაბაღი" აღდამი. ადრე გამოდიოდა შემდეგი სახელებით: „მესხული", „შაფაგი", „ოპერატორი". 1993 წლის აზერბაიჯანის ჩემპიონი და თასის მფლობელი. სომხების მიერ აღდამის ოკუპირების შემდეგ გადავიდა მინგეჩაურში და საშინაო მატჩებს იქაურ „ბაბა მუსტაფაევის სახელობის" 15-ათასიან სტადიონზე ატარებს. მწვრთნელია 47 წლის აღასალიმ მირჯავადოვი. იგი 1967-71 წლებში ბაქოს „ნეფთჩიში" თამაშობდა, 1991 წლიდან კი „ყარაბაღის" მწვრთნელია. მას ტურნირის დაწყების წინა დღეს შევხვდი: „ერთი წელია, რაც მინგეჩაურში გადავედით" — მითხრა მირჯავადოვმა და განაგრძო: „ამ ომმა ყველაფერი არია. მართალია, თვითონ ფეხბურთელები არ მონაწილეობენ ომში, მაგრამ მათი ძმები ხომ იქ არიან! ბევრმა მათგანმა დაკარგა მშობლები და ახლობლები". ვთქვათ და, „არარატთან" მოგიწიათ თამაში? — ვკითხე მე. „მათთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. აი დღეს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს კაზარიანს შევხვდი (სხვათა შორის, ის ბაქოელი სომეხია) და კარგა ხანი ვესაუბრე და თუ „არარატს" შევხვდით, თამაში ნორმალურად ჩატარდება. ისე კი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყარაბაღი ჩვენი მიწაა" — დააყოლა მირჯავადოვმა.

...აღდამელებმა მხოლოდ ნახევარი საათი გაუძლეს დინამოელებს, მერე კი მოედანზე ფაქტიურად ერთი გუნდი დარჩა. ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს რევიშვილი წააქციეს. ჯარიმა ტყებუჩავამ დაარტყა, ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, მაგრამ ისევ გოჩას დაუბრუნდა და მანაც განმეორებითი დარტყმით პირველი გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში თბილისელთა კარისკენ ბურთი საერთოდ არ დარტყმულა, უკვე მეორე წუთზე კი ანგარიში 2:0 იყო: ტყებუჩავას კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ყაველაშვილმა თავით მეტოქის კარში გაგზავნა. ამის შემდეგ ჩვენებს 8-9 საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ 88-ე წუთზე გავიდა მესამე გოლი — ინალიშვილის პენალტი მეკარისთვის კვლავ აუღებელი გამოდგა.

ხვალ ნახევარფინალში ჩვენი მეტოქეა უზბეკეთის ჩემპიონი. „დინამოში" მეორე გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს ნემსაძე. მეორე ნახევარფინალში „სპარტაკი" „კოპეტ-დაღს" ხვდება."

„დინამო" — „ყარაბაღი" 3:0

„დინამო": ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი (ხუჯაძე 85), ლობჟანიძე (ქველაძე 70), ტყებუჩავა, რევიშვილი, ინალიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ანჩაბაძე.

„ყარაბაღი": ჯ. ალიევი (აზიზოვი 50), მუტალიბოვი, ტ. აჰმედოვი (ხუდადატოვი 40), ქერიმოვი, ჰასანოვი, აბოშევი, დ. აჰმედოვი, ს. ალიევი, სალმანოვი (ი. ჰუსეინოვი 65), მ. ჰუსეინოვი, მ. ალიევი (მამედოვი 66).

გოლები: ტყებუჩავა (40), ყაველაშვილი (47), ინალიშვილი (88 პ)

მსაჯი: ანოხინი (რუსეთი).

გაფრთხილება: ნემსაძე, ჰასანოვი, ქერიმოვი.

# ამერიკაში სათადარიგო შემადგენლობით?

რუსეთის ნაკრები ახლა ამერიკულ ტურნეშია. პირველი 29 იანვარს რუსებმა სიეტლში ამერიკელებთან ჩაატარეს და ფრედ ითამაშეს 1:1 (რადჩენკოს გოლი ამერიკელებმა ბოლო წუთებზე გაქვითეს), ხვალ ოკლენდში კი მექსიკის ნაკრებს ხვდებიან. ის, რომ უძლიერესი რუსი ფეხბურთელები სადირინს ბოიკოტს უცხადებენ, ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან. ამჯერადაც მათ უარი თქვეს ამერიკაში გამგზავრებაზე და სადირინის განკარგულებაში მხოლოდ 18 მოთამაშე გამოცხადდა: მეკარეები — ევგენი პლოტნიკოვი (ც.ს.კ.ა.) და ზაურ ხაპოვი (ვლადიკავკაზის „სპარტაკი"); მინდვრის მოთამაშეები — დმიტრი გალიამინი, დმიტრი კუზნეცოვი, იგორ კორნეევი („ესპანიოლი"), ვლადიმერ გერაშჩენკო, ოლეგ ვერეტენიკოვი („როტორი"), სერგეი პოდპალი, რაშიდ რახიმოვი (მოსკოვის „ლოკომოტივი"), სერგეი გორლუკოვიჩი (იურდინგენის „ბაიერი"), ვლადიმერ ტატარჩუკი (პრაღის „სლავია"), ალექსანდრე ბოროდიუკი („ფრაიბურგი"), დმიტრი პოპოვი, დმიტრი რადჩენკო („სანტანდერი"), ბახვა თედეევი (ვლადიკავკაზის „სპარტაკი"), ომარ თეთრაძე, დმიტრი ჩერიშევი (მოსკოვის „დინამო") და ოლეგ სალენკო („ლოგრონიესი"). როგორც ხედავთ, გუნდში სამი ყოფილი თბილისის დინამოელია (თეთრაძე, ხაპოვი, თედეევი). იანვრის ბოლოს გამოცხადდა მსოფლიოს ჩემპიონატამდე რუსეთის ნაკრების მოსამზადებელ თამაშთა განრიგი: 23 მარტს რუსები დუბლინში ირლანდიას ხვდებიან, 20 აპრილს თურქეთში — იქაურ ნაკრებს, 29 მაისს მოსკოვში — სლოვაკეთს, 15 ივნისს კი ვანკუვერში — კანადის ნაკრებს.

ამერიკაში წასვლამდე პაველ სადირინმა პრეს-კონფერენცია გამართა მოსკოვის „ჰავანა-კლუბში" და თქვა, რომ ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ მოწინააღმდეგე მხარესთან ყველაფერი მშვიდობით დამთავრდება. მან აღნიშნა, რომ ამჯერად ნაკრებში არც მოსკოვის სპარტაკელები მიიწვია, ვინაიდან ისინი ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის ემზადებიან. აქვე გამოვიდა კოლოსკოვი და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებს სადირინი უხელმძღვანელებს და ის, ვინც ამის წინააღმდეგია, ვერ ეღირსება ეროვნული გუნდის მაისურს. „ბიშოვეცისტებს" კოლოსკოვი ფიფას მხრიდან ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

სადირინს კიდევ აქვს კომპრომისის იმედი. მეამბოხეთა ლიდერი იგორ შალიმოვი კი კომპრომისს უკვე არარეალურად თვლის. მან ეს გაზეთ „სობესედნიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს.

**— მართლა თვლით, რომ სადირინი არაკომპეტენტური მწვრთნელია?**

— ადრე მას წესიერ, პატიოსან ადამიანად ვთვლიდი, მაგრამ ბოლო ხანს მან ისეთი რამეები ილაპარაკა ჩვენზე, რომ წარმოდგენა შემეცვალა. ის, რასაკვირველია, კარგი მწვრთნელია, მაგრამ იმ თამაშით, როგორიც ჩვენ შესარჩევ ტურნირში ვაჩვენეთ, ამერიკაში არაფერი გვესაქმება, ამიტომ ნაკრებს ბიშოვეცმა უნდა უხელმძღვანელოს.

**— 25 დეკემბერს თქვენს მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე ითქვა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირი მთლიანად კორუმპირებული ორგანიზაციაა. ეთანხმებით ამას?**

— დიახ!

**— მაშ ვისთან იბრძვით: სადირინთან თუ კოლოსკოვთან?**

— საქმეც იმაშია, რომ სადირინი კოლოსკოვს ყველაფერში ეთანხმება. მაგალითად, როცა ჩვენ ვთქვით, რომ „რიბოქის" ბუცებით არ ვითამაშებდით, კოლოსკოვმა თავხედურად განაცხადა: ვინც ამ ბუცებს არ ჩაიცმევს, ნაკრებში ცხვირს ვერ შემოყოფსო და სადირინმა მას მხარი დაუჭირა. არადა, ამ კონტრაქტისგან შემოსული თანხა ჩვენამდე არც მოსულა — მთელი თანხა კოლოსკოვს მიაქვს.

**— კი მაგრამ, თქვენ არ აგიხსნეს, რომ კონტრაქტის თანახმად რუსეთის ნაკრების ყველა ფეხბურთელმა ამ ფირმის ფორმით უნდა ითამაშოს?**



ბუნტისთავი იგორ შალიმოვი

— აგვიხსნეს, მაგრამ მე სხვას გეტყვით: დენის ბერხკამპი „რიბო[illegible]" ბუცებით თამაშისათვის ამ [illegible]სგან მილიონ ორასი ათას დოლარ[illegible] იღებს. შთამბეჭდავია არა?

**— თქვენ პირადად სხვა ფირმასთან გაქვთ კონტრაქტი?**

— ამას რა მნიშვნელობა აქვს. დავუშვათ, მაქვს, მაგრამ კოლოსკოვს ჩემს კონტრაქტს მაინც არ ვაჩვენებ, ვინაიდან ეს კომერციული საიდუმლოა.

**— სერგეი იურანმა განაცხადა, რომ ნაკრებში უფასოდაც ითამაშებს. თქვენ?**

— არა. ვთვლი, რომ ნებისმიერი მუშაობა უნდა ანაზღაურდეს. ფეხბურთელის კარიერა მუდმივი არაა და სანამ ახალგაზრდა ვარ, იმდენი უნდა ვიშოვო, ცხოვრების ბოლომდე რომ მეყოს.

**— როგორ გესახებათ ამ კონფლიქტის გადაჭრა?**

— ვიმედოვნებ, რომ წამყვანი მოთამაშეების აზრს ყურს დაუგდებენ. ნაკრების მწვრთნელი ბიშოვეცი უნდა იყოს.

**— ე.ი. სადირინთან კომპრომისი გამორიცხულია?**

— უკვე გამორიცხულია. მაგალითად, მე მისი ხელმძღვანელობით ნაღდად აღარ ვითამაშებ.

მოკლედ, რუსეთის ნაკრები, შესაძლებელია, ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე თითქმის სათადარიგო შემადგენლობით ჩავიდეს. ამაში მთავარ დამნაშავედ რუსული დამოუკიდებელი პრესა კოლოსკოვს მიიჩნევს.

## STRIKER News

„უოლტ დისნეი კომპანი" და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები ფულის გამო ვერ მორიგდნენ ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალის შესახებ, რითაც ჩემპიონატის მომწყობები ცაიტნოტში ჩავარდნენ და ახლა გამალებით ეძებენ ახალ პროდიუსერს. ისინი ჩიკაგოურ ფირმა „ჯეი პროდაქშენზსაც" დაუკავშირდნენ, მაგრამ ამათ პასუხად მიუგიათ, რომ საკადრისი წარმოდგენის მოსაწყობად დრო ერთობ გვეცოტავებაო.

რუსეთის ნაკრებმა ამერიკული ტურნეს პირველი მატჩი შაბათს, სიეტლში მასპინძელთა წინააღმდეგ გამართა. თამაში ფრედ 1:1 დასრულდა. აშშ-ელებმა რადჩენკოს გოლს ლალასის თავით უპასუხეს. ოკლენდში შვეიცარიამ გაანადგურა მექსიკა 5:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიტანეთი: მწვრთნელები მიდი-მოდიან

## ტერი ვენეიბლზი

51 წლის ლონდონელი ტერი ვენეიბლზი ფეხბურთის ასოციაციამ ორთვენახევრიანი ყოყმანის შემდეგ დანიშნა ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად. ვენეიბლზს ორნახევარწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ასოციაცია იმედოვნებს, რომ ახალი მწვრთნელი საფუძვლიანად გარდაქმნის ნაკრების თამაშს და მას გაიყვანს ევროპის პირველობის ფინალში, რომელიც 1996 წელს პრეს-კონფერენციის გამართვის ადგილზე, „უემბლის" სტადიონზე გაიმართება.

ვენეიბლზის კვალიფიკაცია არავის აეჭვებს, მაგრამ თუ რატომ აჭანჭლებდა ასოციაცია მის დანიშვნას, ცხადი გახდება მწვრთნელის ტოტენჰემური საგის გაცნობისას, რომელსაც აქვე გთავაზობთ. მოკლედ თუ მოვჭრით, მწვრთნელი ვერ შეეწყო კლუბის მფლობელს, კომპიუტერების მაგნატ ალან შუგარს („შაქარს") და კლუბიდან წასვლაც მოუხდა.

ვენეიბლზი ერთადერთი ინგლისელი ყოფილა, ვისაც ფეხბურთელობისას ყველა ასაკის ნაკრებში უთამაშნია. მწვრთნელად ყოფნისას „კრისტალ პალასი" მესამე ჯგუფიდან პირველში გადაუყვანია, მეორე ჯგუფის „ქუინზ პარკ რეინჯერსისათვის" კი ასოციაციის თასი მოუგებინებია. გაუმზადებია ხიმავიდო საფეხბურთო თამაშებიც. ესპანეთის ტელევიზიით პირდაპირ ეთერში უმღერია „ჩემი გზა" და არაერთი სხვა ტელეპროგრამისა და შოუს წამყვანიც ყოფილა, მაგრამ ამ ბოლო დროს ფეხბურთზე მეტად სასამართლოებში უწევდა თურქე სირბილი და როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ახლა კი ეშველება და საყვარელ საქმეს დაუბრუნდება.

საქმე კი ასე ვითარდებოდა:

**1993 წლის მაისი:** ვენეიბლზი გადაირჩიეს „ტოტენჰემის" აღმასრულებელი თავმჯდომარეობიდან, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ შეაჩერა მისი სამსახურიდან წასვლა, რადგან გამოსაძიებელი იყო ვენეიბლზის საქმიანობა [illegible]ფონდო ბირჟასთან დაკავშირებით. საუბარი იყო კომპანიის დიგეგმილი მოგების გაყოფაზე. ვენეიბლზის ფინანსური მრჩეველი ედი ეში კლუბმა დაითხოვა. დირექტორმა ჯონათან კრისტელმა, რომელიც ვენეიბლზის დიდი მხარდამჭერი გახლდათ, უარი თქვა თანამდებობიდან გადადგომაზე, რასაც მისგან ითხოვდნენ.

**ივნისი:** სამი დღის გარჩევის შემდეგ სასამართლომ აღარ შეაჩერა ვენეიბლზის სამსახურიდან წასვლა და მას მიუსაჯა შუგარისთვის 450 გირვანქის გადახდა.

**სექტემბერი:** BBC-ის სატელევიზიო პროგრამა „პანორამამ" იმსჯელა ვენეიბლზთან დაკავშირებული ბიზნესის ჩავარდნილ საქმეზე. მან თავმჯდომარეს ფული აღუთქვა, თუ ის ნათქვამ ბრალდებებს დაამტკიცებდა და სახალხო სკანდალით დაიმუქრა.

**23 ნოემბერი:** გრემ ტეილორი გადადგა ნაკრების მწვრთნელობიდან.

**24 ნოემბერი:** ბუქმეიკერებში ნაკრების მწვრთნელობის პრეტენდენტთა შორის ვენეიბლზი აუტსაიდერია: 25-1. ლიდერები არიან ჰოვარდ ვილკინსონი და კევინ კიგანი 3-1.

**30 ნოემბერი:** წარსულში ინგლისის ნაკრების კაპიტანი და „ლიდსის" მწვრთნელი ჯიმი არმფილდი დაინიშნა საგანგებო მრჩეველად ნაკრების ახალი მწვრთნელის მოძებნის საქმეში. მან კიგანზე შეაჩერა არჩევანი.

ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე სერ ბერტ მილიჩიპი მხარს უჭერს აზრს, რომ გაზაფხულისთვის დანიისა და გერმანიის წინააღმდეგ თამაშებისთვის დაინიშნოს დროებითი მწვრთნელი. აღმასრულებელი თავმჯდომარე გრემ კელი ითხოვს, რომ მოხდეს ორმაგი დანიშვნა ახალგაზრდა შემცვლელისა და გამოცდილი მწვრთნელისა, სადაც გამოცდილი ახალგაზრდის აღზრდის.

**20 დეკემბერი:** ბუქმეიკერები ვენეიბლზზე ფსონებს აღარ იღებენ.

**21 დეკემბერი:** არმფილდი სთავაზობს ზაფხულამდე მწვრთნელის დანიშვნა არ იჩქარონ.

**23 დეკემბერი:** არმფილდს იმედი გაუჩნდა, რომ მწვრთნელი ნაახალწლევს დაინიშნება.

**6 იანვარი:** ვენეიბლზი ხვდება ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობას, რათა მოილაპარაკოს, თუ რა პირობით სთავაზობენ მას მწვრთნელობას.

**16 იანვარი:** სერ ბერტი პრესაში აცხადებს, რომ მწვრთნელი ვენეიბლზი იქნება და მას სურს იგი ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრამდე დაინიშნოს.

**17 იანვარი:** „ფაინენშლ ტაიმსი" ვენეიბლზს ბიზნესის ახალ ბრალდებებს უყენებს.

**18 იანვარი:** „ტოტენჰემის" თავმჯდომარე ალან შუგარს თავის კლუბში ხვდება პრემიერ ლიგის გამომძიებელი. ფეხბურთის ასოციაციის პრეს-კონფერენცია "უემბლიზე" გადადებულია.

**19 იანვარი:** პრეს-კონფერენცია კვლავ გადასდეს ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრამდე.

**23 იანვარი:** კელი ამბობს, რომ მწვრთნელად, თუ მას კიდევ სურს, ვენეიბლზი დაინიშნება, თუ არა და შემცვლელს დანიშნავენ. ყველა ვარიანტში კვირის ბოლოს საბოლოო გადაწყვეტილებას იტყვიან.

**24 იანვარი:** საერთაშორისო ქვეკომისია წყვეტს, რომ ადგილს ვენეიბლზს სთავაზობენ. ახლა კონტრაქტია გასაფორმებელი. ვენეიბლზი იხილავს 30-თვიან კონტრაქტს. განხილვა ღამეც გრძელდება.

**26 იანვარი:** ფეხბურთის ასოციაცია 48 საათში „უემბლიზე" ახალ პრეს-კონფერენციას ნიშნავს. ეჭვი აღარავის აქვს, რომ მწვრთნელად ვენეიბლზს დაასახელებენ.

**27 იანვარი:** კელი ჯერ კიდევ პირდაპირ არ ამბობს, თუ ვინ არის მწვრთნელი. „ახალი პიროვნება" — ამბობს ის მწვრთნელზე საუბრისას.

**28 იანვარი:** ვენეიბლზი დაასახელეს მწვრთნელად.

## გრემ სუნესი

მწვრთნელი შეიცვალა კიდევ ორ ბრიტანულ გუნდში. „ლივერპულს" გრემ სუნესთან ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ მის ამოწურვამდე 33 თვით ადრე გაპანღურა, აქაოდა კარგი ფეხბურთელი კი იყავი, მაგრამ მწვრთნელად არ ვარგებულხარო. სუნესის წინამძღოლობით „ლივერპულს" არაერთხელ მოუგია ასოციაციის თასი. არადა ის, რაც საოცნებოდა აქვს ქვეყნის კლუბთა დიდ უმრავლესობას, „ლივერპულს" თურმე ეცოტავება.

„ლივერპულს", რომელიც წინა კვირაში წრის მესამე თამაშში შინ, „ენფილდზე" დამარცხდა პირველი ჯგუფის „ბრისტოლ სიტისთან" 0:1 და ასოციაციის თასის მერვედფინალს მიღმა დარჩა, დროებით უხელმძღვანელებს სუნესის თანაშემწე როი ევანსი.

კლუბი მწვრთნელად თავისივე ექსვარსკვლავის, უელსელი ჯონ ტოშაკის მიწვევას აპირებდა, მაგრამ უელსის ფეხბურთის ასოციაციამ დაასწრო.

## ჯონ ტოშაკი

პარასკევს საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის, უელსის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა წარსულში „ლივერპულის" თავდამსხმელი ჯონ ტოშაკი. 44 წლის მწვრთნელი შეთავსებით იმუშავებს: ერთის მხრივ ქვეყნის ნაკრებს უხელმძღვანელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, იმავდროულად კი ესპანური „რეალ სოსიედადის" სათავეშიც დარჩება. ტოშაკი ოფიციალურად ასეთ თანამდებობაზეა — „ეროვნული გუნდის ტექნიკური დირექტორი". როგორც უელსის ფეხბურთის ასოციაციაში თქვეს, იგი პასუხისმგებელი იქნება მოთამაშეთა შერჩევასა და მათ მომზადებაზე. ტოშაკის „მარჯვენა ხელად" დაინიშნა უელსის ნაკრების მწვრთნელი 1974-1977 წლებში, ინგლისელი მაიკ სმითი. მისი თანამდებობა ასეთია — „გუნდის კოორდინატორი და ნაკრების განვითარების მოხელე ასისტენტი". სმითმა, ტოშაკის ესპანეთში ყოფნის განმავლობაში უნდა უხელმძღვანელოს გუნდის ბიზნესის სფეროს და ყველაფერს — სკოლის მასწავლებლებიდან დაწყებული უმაღლესი დონით დამთავრებული — კურირება უნდა გაუწიოს.

ტოშაკს გასული კვირის დასაწყისში ესპანეთში ესაუბრა ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი თავმჯდომარე ალან ევანსი, რომელმაც შაბათს უელსში დაბრუნებისთანავე განაცხადა: „ჯონ ტოშაკის დანიშვნა არ არის ნახევარზომა. ჩვენ თანხმობა მივიღეთ მის კლუბ „რეალ სოსიედადისგან" იმის თაობაზე, რომ 1996 წლამდე იგი ნაკრების ყველა თამაშზე გამოუშვან."

ტოშაკმა, მისი ინგლისელი კოლეგის ტერი ვენეიბლზის მსგავსად, რომელიც მისი დანიშვნიდან რამდენიმე საათის მერე დანიშნეს ინგლისში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელის სახელი ევროპაში შეიქმნა. მან ჯერ ლისაბონის „სპორტინგს" უხელმძღვანელა წარმატებით, შემდეგ, 1990 წელს მადრიდის „რეალს" წვრთნიდა, ახლა კი რეალ სოსიედადშია".

ტოშაკმა თქვა, რომ მას არ სურს ესპანეთიდან წამოსვლა (როგორც ამბობენ, იგი წელიწადში 105 ათას დოლარს იღებს) და როგორც ჩანს, მის არყოფნაში სმითს მართლაც მძიმე დღეები ექნება. სმითის დანიშვნა ყველამ უცნაურად ჩათვალა, რადგან იგი 12 წელია მწვრთნელად არსად ყოფილა.

**დავით მჭედლიშვილი**

*ლონდონიდან*

### ჯონ ბენჯამინ ტოშაკი



დაიბადა 1949 წლის 22 მარტს კარდიფში.
თამაშობდა: „კარდიფ სიტი" 1961-70, „ლივერპული" 1970-78.
მოთამაშე-მწვრთნელი: „სუონსი სიტი" 1978-84
წვრთნიდა: ლისაბონის „სპორტინგი" 1984-85, „რეალ სოსიედადი" 1985-89, „რეალ მადრიდი" 1989-90, „რეალ სოსიედადი" 1990-
უელსის ნაკრებში ითამაშა 40 მატჩი, გაიტანა 13 გოლი. დებიუტი: ფრანკფურტში 1969 წლის 26 მარტს (გერმანია 1:1), ბოლო მატჩი: კიოლნში 1979 წლის 17 ოქტომბერს (გერმანია 1:5).

## ფეხბურთის



## რუკასთან

**არგენტინელი** მარადონა, იცოცხლეთ, ორივე ფეხს მშვენივრად ხმარობს, მაგრამ პოლიტიკური მრწამსის თვალსაზრისით ნამეტანი ცაცია ყოფილა... „მართალია, კუბური ოპოზიცია მაიამიში მწარედ მემუქრება, მაგრამ მე მაინც კუბის ფიცრამდე ვუერთგულებ ჩემს მეგობარ ფიდელ კასტროს" — [illegible] ზას ოლებ გამოუსწორებელი [illegible] ჩენელი მემარცხენეებიც ველარ ბე[illegible]ენ, მარადონა კი, მიეცემა თუ არა საშუალება, წარამარა ქება-დიდებას ასხამს პოსტსოციალისტურ სამყაროში წარსულის დინოზავრად შერაცხულ კომანდატე ფიდელს. საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელის ასეთი შეხედულებანი, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს და აი, ახლახან მარადონამ მეტად „მაცდური" წინადადება მიიღო არგენტინის განთავისუფლების ფართო ფრონტის პარტიისგან — კენჭი ეყარა ამ პარტიის სიით ქვეყნის კონსტიტუციურ ასამბლეაში. ამან, ეტყობა, გამოაფხიზლა მარადონა, ჰკუას უხმო, შეთავაზებაზე უარი განაცხადა, და დასძინა: „არ მსურს რაიმე საერთო მქონდეს პოლიტიკასთან. პოლიტიკოსთა შორისაც გვხვდებიან კარგი ადამიანები, მაგრამ უმეტესი მათგანი ბინძური პიროვნებაა".

**ინგლისში** დიდი ამბით დაკრძალეს მატ ბასბი. გასვენებაში „მანჩესტერ იუნაიტედის" სხვადასხვა თაობის 90 ფეხბურთელი მონაწილეობდა. ჭირისუფლებს შორის იყვნენ ბესტი, ლოუ და ბობი ჩარლტონი. პროცესიამ „ოლდ ტრეფორდს" ჩაუარა და მწვრთნელისათვის პატივის მისაგებად კოკისპირულ წვიმაში ორი წუთით გაირინდა.

**ბულგარეთის** „ბოტევ პლოვდივი" მექრთამეობისთვის ერთი წლით დაითხოვეს უეფა-ს საკლუბო ტურნირებიდან. საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან" თამაშის დროს პლოვდიველმა გიორგი ბოტევმა მსაჯს მიაფურთხა, რისთვისაც ხუთწლიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო. კლუბმა იჩივლა და ცდომილს სასჯელი შეუმცირეს, მაგრამ როგორც ახლა გაირკვა, „ბოტევს" სარჩელის განხილვამდე სააპელაციო ჟიურისთვის ქრთამი შეუძლევია.

**ტაილანდის** დედაქალაქ ბანგკოკში კვირას დაიწყო აზიის საკლუბო ჩემპიონატი. შეჯიბრების დაწყებამდევე გამოაკლდა ტურნირს საუდის არაბეთის „ალ-შუბაბი", რომელშიც ეროვნული ნაკრების შვიდი წევრი ირიცხება. ამის შედეგად ფავორიტებად დარჩნენ იაპონიის ჯეი-ლიგის გამარჯვებული „იომიური ვერდი" და ერთგვარად უცნობი ლიბანის „ალ-ანსა", რომელსაც წინასწარ წრეში აზიის შარშანდელი ჩემპიონი, ირანის „ფარსი" დაუმარცხებია. თამაშებზე 20-ათასიან აუდიტორიას ელიან.

## იტალია

XXI ტური. 30 იანვარი.

ატალანტა — მილანი 0:1 (მასარო 55)
ჯენოა — პარმა 0:4 (ძოლა 44, 89, ბროლინი 45, ასპრილია 83 პ)
ინტერი — კალიარი 3:3 (სოსა 45, 52, ფონტოლანი 88; ოლივეირა 6, პუშედუ 28, ვალდესი 84)
იუვენტუსი — ფოჯა 2:0 (რავანელი 69, რ. ბაჯო 82)
ლაციო — კრემონეზე 4:2 (კრავერო 18, კაზირაგი 38, სინიორი 44, 67; კრისტიანი 28, ბერგოდი 90 საკ. კარში)
ლეჩე — სამპდორია 0:3 (ვერხოვოდი 53, კერამიკოლა 85 საკ. კარში, მანჩინი 90)
ნაპოლი — რომა 1:1 (ფონსეკა 90 პ; ბალბო 58 პ)
პიაჩენცა — რეჯანა 3:2 (იაკობელი 47, დე აგოსტინი 62 საკ. კარში, მორეტი 89; პაპაისი 7 საკ. კარში, მორელო 72)
უდინეზე — ტორინო 1:1 (ბრანკა 85 პ; ფრანჩესკოლი 67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 21 | 12 | 8 | 1 | 23-8 | 32 |
| იუვენტუსი (4) | 21 | 10 | 8 | 3 | 35-19 | 28 |
| სამპდორია (7) | 21 | 12 | 4 | 5 | 38-26 | 28 |
| პარმა (3) | 21 | 11 | 5 | 5 | 32-15 | 27 |
| ინტერი (2) | 21 | 9 | 7 | 5 | 32-21 | 25 |
| ლაციო (5) | 21 | 9 | 7 | 5 | 28-23 | 25 |
| ნაპოლი (11) | 21 | 8 | 7 | 6 | 32-24 | 23 |
| ტორინო (9) | 21 | 8 | 7 | 6 | 27-21 | 23 |
| ფოჯა (12) | 21 | 5 | 10 | 6 | 30-26 | 20 |
| რომა (10) | 21 | 5 | 10 | 6 | 19-20 | 20 |
| კალიარი (6) | 21 | 6 | 8 | 7 | 28-34 | 20 |
| პიაჩენცა (დ) | 21 | 6 | 7 | 8 | 19-29 | 19 |
| კრემონეზე (დ) | 21 | 6 | 6 | 9 | 24-28 | 18 |
| უდინეზე (14) | 21 | 4 | 9 | 8 | 15-24 | 17 |
| რეჯანა (დ) | 21 | 5 | 6 | 10 | 16-26 | 16 |
| ჯენოა (13) | 21 | 4 | 8 | 9 | 14-27 | 16 |
| ატალანტა (8) | 21 | 4 | 7 | 10 | 21-37 | 15 |
| ლეჩე (დ) | 21 | 1 | 4 | 16 | 15-39 | 6 |

## ესპანეთი

XXI ტური. 29-30 იანვარი.

**ლა კორუნია — სპორტინგი 2:1.** ლიდერმა თავისი ბრაზილიელი ვარსკვლავების წყალობით ოთხქულიანი ლიდერობა შეინარჩუნა: 43-ე წუთზე და სილვამ პენალტი შეაგდო, მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კი ბებეტომ მეორე გოლიც გაიტანა, რომელიც იქვე ხუან კასტანომ პენალტით გაქვითა.

**ბარსელონა — ალბასეტე 2:1.** დასჯილი რომარიოს გარეშე „ბარსას" ძლიერ გაუჭირდა: მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტოიჩკოვმა ბურთი ძელს გაარტყა, მალე კი დამტვრეული ლაუდრუპი სალინასმა შეცვალა, რომელმაც მერე ორივე გოლიც გაიტანა. ბოლო წუთზე სტუმართა ურუგვაელმა ზალასარმა პენალტი გაიტანა.

**ვალიადოლიდი — რეალი 0:0.** „რეალმა" განაგრძო თავისი უნიათო სერია, თუმცა სამჯერ ძელს გაარტყა ბურთი და მოგებაც შეეძლო. მუხლი დაიშავა ბუტრაგენიომ, რომელიც ალბაც ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

**სარაგოსა — რეალ სოსიედადი 3:0.** სარაგოსამ ურუგვაელი გუსტავო პოიეტისა და არგენტინელი ხუან ესნაიდერის მეორე ტაიმში გატანილი გოლებით დაამარცხა უელსის ნაკრების ახალი მწვრთნელის ჯონ ტოშაკის გუნდი.

**ატლეტიკო — ვალენსია 2:0.** ორივე გუნდი საზიზღარ ფორმაშია. პირველი ბურთი პოლონელი კოსეცკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან შეაგდო პედრო გონსალესმა, მეორე — თაურით ხოსე ანტონიო გომესმა.

**ტენერიფე — რაიო ვალეკანო 3:1.** ოთხივე გოლი ლეგიონერებმა გაიტანეს: არგენტინელმა ოსკარ დერტისიამ, პერუელმა ხოსე დელ სოლარმა, იტალიელმა პიერო კურუბინომ და მადრიდელთა მექსიკელმა ბომბარდირმა უგო სანჩესმა, რომლისთვისაც ეს მე-13 გოლი იყო. „ტენერიფეს" მწვრთნელმა ხორხე ვალდანომ თავისი არგენტინელი თანამემამულე ფერნანდო რედონდო გუნდიდან გააგდო: ამას ვარჯიშზე თანაგუნდელ ანტონიო პინილიასთან უხხუბია და მისთვის ცხვარი მოუტეხავს.

ატლეტიკი — ლერიდა 4:0, ოვიედო — სელტა 1:0, სანტანდერი — ლოგრონიესი 0:0, ოსასუნა — სევილია 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 21 | 13 | 6 | 2 | 29-7 | 32 |
| ბარსელონა (1) | 21 | 12 | 4 | 5 | 41-21 | 28 |
| სპორტინგი (13) | 21 | 12 | 2 | 7 | 33-23 | 26 |
| რეალი (2) | 21 | 10 | 5 | 6 | 29-24 | 25 |
| ატლეტიკი (8) | 21 | 10 | 4 | 7 | 35-24 | 24 |
| სარაგოსა (9) | 21 | 9 | 4 | 8 | 34-27 | 22 |
| სევილია (7) | 21 | 7 | 8 | 6 | 26-19 | 22 |
| ალბასეტე (17) | 21 | 6 | 10 | 5 | 29-27 | 22 |
| სანტანდერი (დ) | 21 | 8 | [illegible] | [illegible] | 23-18 | 22 |
| ოვიედო (16) | 21 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 24-26 | 22 |
| სოსიედადი (12) | 21 | 8 | 6 | 7 | 26-29 | 22 |
| ატლეტიკო (6) | 21 | 6 | 8 | 7 | 31-26 | 20 |
| ტენერიფე (5) | 21 | 8 | 4 | 9 | 27-33 | 20 |
| ვალენსია (4) | 21 | 7 | 6 | 8 | 23-29 | 20 |
| ლოგრონ. (15) | 21 | 5 | 8 | 8 | 26-31 | 18 |
| რაიო ვალ. (14) | 21 | 7 | 4 | 10 | 28-39 | 18 |
| სელტა (11) | 21 | 5 | 7 | 9 | 16-24 | 17 |
| ვალიადოლ. (დ) | 21 | 4 | 7 | 10 | 14-28 | 15 |
| ოსასუნა (10) | 21 | 4 | 5 | 12 | 16-34 | 13 |
| ლერიდა (დ) | 21 | 3 | 6 | 12 | 11-29 | 12 |

## ინგლისი

წინა უქმეებზე ტური არ გამართულა, ვინაიდან სათასო მატჩები ტარდებოდა. გთავაზობთ სატურნირო ცხრილს 27 ტურის შემდეგ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩეს. იუნ. (1) | 27 | 19 | 7 | 1 | 54-23 | 64 |
| ბლექბერნი (4) | 25 | 15 | 6 | 4 | 36-20 | 51 |
| არსენალი (10) | 27 | 12 | 10 | 5 | 31-14 | 46 |
| ნიუკასლი (დ) | 26 | 13 | 6 | 7 | 45-25 | 45 |
| ლივერპული (6) | 26 | 12 | 7 | 7 | 44-28 | 43 |
| ლიდსი (17) | 26 | 11 | 10 | 5 | 39-28 | 43 |
| შეფ. უენსდ. (7) | 27 | 10 | 10 | 7 | 49-36 | 40 |
| ნორვიჩი (3) | 25 | 10 | 9 | 6 | 40-30 | 39 |
| ქუინზ პარკი (5) | 26 | 11 | 6 | 9 | 40-33 | 39 |
| ასტონ ვილა (2) | 25 | 10 | 8 | 7 | 30-27 | 38 |
| ვესტ ჰემი (დ) | 27 | 9 | 8 | 10 | 25-35 | 35 |
| უიმბლდ. (12) | 25 | 8 | 9 | 8 | 27-33 | 33 |
| იფსვიჩი (16) | 25 | 7 | 11 | 7 | 22-27 | 32 |
| კოვენტრი (15) | 25 | 7 | 10 | 8 | 26-29 | 31 |
| ტოტენჰემი (8) | 27 | 7 | 9 | 11 | 35-34 | 30 |
| ევერტონი (13) | 27 | 8 | 4 | 15 | 28-38 | 28 |
| ჩელსი (11) | 25 | 6 | 8 | 11 | 23-30 | 26 |
| საუთჰემპტ. (18) | 26 | 7 | 3 | 16 | 26-37 | 24 |
| შეფ. იუნ. (14) | 27 | 4 | 10 | 13 | 22-42 | 22 |
| მანჩ. სიტი (9) | 25 | 4 | 9 | 12 | 21-32 | 21 |
| ოლდჰემი (19) | 26 | 4 | 8 | 14 | 20-45 | 20 |
| სვინდონი (დ) | 27 | 3 | 10 | 14 | 28-61 | 19 |

# საერთაშორისოს ნაცვლად – საშინაო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ცხადდა, მსაჯთან ხელის აწევაზე არ მივიდა. შემდეგ არბიტრებსაც უთხრა ერთიორი ტკბილი სიტყვა. მოკლედ, სანამ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გურამ ტოქის ჩოქბჯენში გადაყვანისთვის მიღებული ერთი ქულა ჰქონდა. დაინიშნა დამატებითი დრო, სადაც პოლოსიანმა ადვილად მოიპოვა ორი ქულა. ამ წონაში მესამე ემზარ ბედინეიშვილი გახლდათ.

68 კგ. ძველი წესებით რომ ეჭიდავათ,



ყველაზე საინტერესო ფინალი: ჯონდო მოდონსიანი (ზემოდან) და დავით ხურცია

გედეხაური არ ჩაერია საქმეში, სიტუაცია არ განიმუხტა. მესამე მონაწილე ამ წონაში არ ყოფილა.

57 კგ. მიხეილ ჯაფარიძის და ალუდა სალაგაძის შერკინება თანაბრად მიმდინარეობდა. შეხვედრის შუაწელში ჯაფარიძემ ფეხებში ხელი ჩაავლო მეტოქეს, დაატრიალა, 2 ქულა მიიღო და მატერიალურთან ერთად ფსიქოლოგიური უპირატესობაც მიიღო. ანგარიში ნელ-ნელა იზრდებოდა და საბოლოოდ 6:1-ს მიაღწია. მესამე ადგილზე გიორგი გაგიშვილი გავიდა.

62 კგ. ორმა გორელმა – დავით პოლოსიანმა და დავით გაგიშვილმა ძირითად დროს 51 წამით გადააცილეს. მოგეხსენებათ, ახალი წესებით გამარჯვებულ მოჭიდავეს სამი ან მეტი ქულა უნდა ჰქონდეს დაგროვილი. მეხუთე წუთის ბოლოს კი პოლოსიანს შეხვედრის დასაწყისში მეალმასხან ტლაშაძე 1:0 მოუგებდა ზაქრო ჩიტაძეს. მაგრამ, ქულათა არასაკმარისი ლიმიტის გამო, შეხვედრა ძირითადი დროის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. არმიის სპორტული კლუბის წევრმა ჩიტაძემ, დარბაზში მრავლად მოსული ჯარისკაცი მეგობრების გამხნევებით შეგულიანებულმა ორჯერ აართვა მეტოქეს ორი ქულა და თავის სასარგებლოდ შემოატრიალა შერკინება. მესამე ადგილს გიორგი დათაშვილი დაეპატრონა.

74 კგ. ამ წონით კატეგორიაში თავის დროზე ვახტანგ ბალავაძე ასპარეზობდა და აქ გამარჯვება თავისთავად, ყველაზე პრესტიჟული გახლდათ. ჯემალ როსტომაშვილმა თავიდანვე ორი ქულა აუღო ზვიად ელბაქიძეს და შემდეგ ქულების მშვიდად დაგროვება იწყო. ერთადერთი, რაც მოახერხა ელბაქიძემ, ეფექტური სამქულიანი გდება იყო. საბოლოოდ კი როსტომაშვილმა 11:6 მოიგო და თავად ვახტანგ ბალავაძის მიერ მედლითა და პრიზით დაჯილდოებულმა, დამატებით 50 ათასი რუსული მანეთიც მიიღო. ეს თანხა ცნობილი ვეტერანი მოჭიდავის, მალხაზ მერმანიშვილის ფირმა „მზის სხივმა" დააწესა და ამ წონაში გამარჯვებულისათვის. მესამე გია წიკლაური იყო.

82 კგ. უდავოდ, ეს ეს იყო ტურნირის ყველაზე ძლიერი ფინალი და საერთოდ, ყველაზე ძლიერი კატეგორია. მაგალითისთვის ისიც იკმარებს, რომ ჭაბუკთა შორის ორი მსოფლიო ჩემპიონი – გოჩა ჩიხრაძე და ნიკო ბეგაშვილი საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ. ფინალში კი ორი აღიარებული ლიდერი – ჯონდო მოდონსიანი და დავით ხურცია გავიდნენ. სხვათა შორის, შარშანდელი ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში ეს ფალავნები მონაწილეობდნენ. მაშინ ხურციამ იმარჯვა.

შერკინების მესამე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, მოდონსიანმა ზედ ხალიჩის კიდესთან ორქულიანი გდება შეასრულა. რამდენიმე წამში ხურციამ კონტრილეთზე დაიჭირა მეტოქე, მაგრამ თავადაც ზურგზე დაეცა და ფალავნებმა 2-2 ქულა დაიმსახურეს. ხურციამ ბოლოს ერთიც გაიბრძოლა, მოდონსიანი ჩოქბჯენში გადაიყვანა, მაგრამ შარშან დამარცხებულმა თავი კარგად დაიცვა და 5:4 მოიგო. მესამე ადგილზე კახა ჯაბიძე გავიდა.

90 კგ. ამ წონაში მსოფლიოს მესამე პრიზიორი ელდარ კურტანიძე ასპარეზობდა. „კუნთების გროვა" ჩვეულ ფორმაში არ იყო, თუმცა ყველა მეტოქეს მაინც საკმაოდ იოლად გაუსწორდა. ფინალში მას წუთი და 28 წამი დასჭირდა ლევან ჩუხრუკიძის წმინდად დასამარცხებლად. მესამე იყო ავთანდილ მგელაძე.

100 კგ. აქ მხოლოდ ორი მონაწილე ასპარეზობდა – ვანელი ძმები კობა და ზაზა ტყეშელაშვილები. თავიდან, 9 წლით უმცროსმა კობამ ქულა აართვა მეტოქეს, შემდეგ ზაზამ გამოასწორა მდგომარეობა, უფროს-უმცროსობის წესი არ დაარღვია და 4:2 მოიგო.

130 კგ. გოგი ჯანელიძეს მნიშვნელოვანი პრობლემები არ ჰქონია თავისზე გაცილებით მსუბუქ გელა ლოლაშვილთან შეხვედრაში – 5:2. მესამე იყო მამუკა ფრეწუაშვილი.

აჰე დასრულდა თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ჩვენთან უცხოელების ჩამოუსვლელობა ჩვეულებრივ ამბად იქცა, კარგად ცნობილი მიზეზის გამო. სამწუხარო ის არის, ჩვენს მოჭიდავეებს არ მიეცათ მათთან შეტოქების საშუალება და მომზადების ხარისხის შემოწმება. უსახსრობის გამო უმეტესწილად შინ მყოფი სპორტსმენებისათვის რამდენიმე კარგი შერკინებაც ხომ მისწრება იქნებოდა. იმის იმედად მაინც ვიყოთ, რომ მომავალ წელს შედარებით ნორმალურ სიტუაციაში ვიცხოვრებთ და თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კვლავ მიიღებს ჩვეულ სახეს.

მერაბ რატიშვილი

გია ახალაძის ფოტოები

# სანქციები არ იქნება, მაგრამ სამუშაო ბევრია



იმისათვის, რომ ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კატეგორია შეუნარჩუნდეს, საჭიროა მასში მონაწილეობა მიიღოს სამმა ან მეტმა ფილას წევრმა ქვეყანამ. როცა ეს პირობა არ სრულდება, ფილა-ს უფლება აქვს ტურნირს თავისი კატეგორია მოუხსნას. თბილისის ტურნირიც თითქოს ამ საფრთხის წინაშე დადგა, რადგან მასში მხოლოდ ერთი ქვეყნის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. ხომ არ მიიღებს ფილა სანქციებს თბილისის ტურნირის მიმართ? ამ ერთადერთი კითხვით მივმართეთ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, ფილა-ს ოფიციალურ წარმომადგენელს თბილისის ტურნირზე მოსკოველ ნუგზარ ფურულს. თუმცა, მისი მონოლოგი სხვა საკითხებსაც შეეხო:

– საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი იმაში, რომ უცხოელი მონაწილეები არ ჩამოვიდნენ. ტურნირის ორგანიზატორებმა, მიუხედავად უდიდესი სირთულეებისა, ყველაფერი ნორმალურად მოამზადეს: დარბაზი, ხალიჩები, მსაჯები, საცხოვრებელი, კვება... მოკლედ, თბილისი და ჭიდაობის ფედერაცია ყოველმხრივ მზად იყო სტუმრების მიღებისთვის. ამას ყველაფერს მოვახსენებ ფილა-ს ჩემს პაკეტში. არა მგონია, ფილა-მ სანქცია დაადოს ტურნირს. ორგანიზატორებს უცხოელთა თანხმობა მონაწილეობაზე კარგა ხნით ადრე ჰქონდათ მიღებული. ხოლო რომ არ ჩამოვიდნენ, ეს მათი პრობლემაა.

სტუმართა დეფიციტის მიზეზი მარტივი მისახვედრია – საქართველოში დღეს დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციაა. ყველა ერიდება აქ ჩამოსვლას. პირადად ჩემი თბილისში ყოფნაც ამას გამოა გამოწვეული: ფილა-მ იცოდა, რომ ნებისმიერი დელეგატი აქ ჩამოსვლაზე თავს შეიკავებდა და ამიტომ აქ მე მომავლინა, წარმოშობით ქართველი კაცი. სხვათა შორის ამას წინათ პერმში ჩავატარეთ პოდლუბნის, ხოლო კრასნოიარსკში ივან იარიგინის სახელობის ტურნირები. წმინდა სამუშაო პირობები – დარბაზი, ხალიჩები და ა. შ. ორივეგან გაცილებით უარესი იყო, მაგრამ თითოეულს თხუთმეტი ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ. იქ არ ისვრიან და იმიტომ.

პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფილა-მ ობიექტური ინფორმაცია მიიღოს. კატეგორიაც, ალბათ შენარჩუნებული იქნება. მაგრამ მთავარი სამუშაო წინ გვაქვს, როცა საქართველოში სიტუაცია დაწყნარდება. თბილისის ტურნირს პრესტიჟის აღდგენა დასჭირდება. ამისთვის საქართველოს ჭიდაობის თავკაცებს დიდი შრომა მოუწევთ. მეც, რითაც შემეძლება, გვერდით დავუდგები.

# «ჭიდაობის პროფესორს» ახალგაზრდობის სჯერა



ტურნირის მოსახელეს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, 67 წლის ვახტანგ ბალავაძეს მთელი ასპარეზობის განმავლობაში სპორტის სასახლიდან ფეხი არ მოუცვლია: ხან ორგანიზატორებს შეაწევდა ორიოდე სიტყვას, ხან მოჭიდავეებს დარიგებას მისცემდა, ხან სტუმრებს ხვდებოდა. ძირითადად კი მაინც ხალიჩისკენ ჰქონდა თვალი. თუ ბატონი ვახტანგის გამოცდილებას იმასაც დავუმატებთ, რომ იგი დღემდე სპორტში მუშაობს, თავისუფალ ჭიდაობის თემაზე მასზე უკეთეს მოსაუბრეს ძნელად თუ იპოვნი.

– გახსოვთ ადრე რა ტურნირი იყო? როგორც წესი, 20-25 ქვეყანა ჩამოდიოდა. აქ იკვეთებოდნენ მომავალი სეზონის ლიდერები. ჩვენთვისაც ეს ტურნირი ჩვენი მოჭიდავეების დონის შემოწმების უპირველესი საშუალება იყო.

დღეს ძალზე საწყენია, რომ უცხოელები არ ჩამოვიდნენ. ის კი არა, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მოჭიდავეთა სტუმრობაც სანატრელი გაგვიხდა. ამდენად, ამ ტურნირის მიხედვით ვერ შევაფასებთ, რა დონეზე ვართ. იმ შეხვედრების მიხედვით, რასაც ვუყურე, დავრწმუნდი, რომ ძირითადი ყურადღება დღევანდელ ახალგაზრდებზე უნდა გადავიტანოთ. რადგან მოზრდილებში უკვე აღარ მეგულება მოქმედი ფალავანი, ერთი-ორის გარდა, რომელიც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს საერთაშორისო სარბიელზე. რა ვქნათ, ისე წავიდა საქმე, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ძლიერი სპორტსმენების დეფიციტი გვაქვს.

მაგრამ უიმედონი და დაღუპულები ნამდვილად არა ვართ. კიდევ ვიმეორებ, კარგი ახალგაზრდობა მოდის. ოღონდ მათ ყველაფერი უნდა გავუკეთოთ. არ შეიძლება დღევანდელივით: დარბაზი – არა, გათბობა – არა, კვება – არა... იცით კიდევ რა არის საჭირო – ვარჯიშის მეთოდიკა, წვრთნის და აღზრდის პროცესისადმი პედაგოგიური მიდგომა. ეს, ჩემი აზრით, მომზადების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც უამრავი საყოფაცხოვრებო პრობლემის ფონზე თითქმის მიგვავიწყდა კიდეც.

# სად არის ზაზა ზოზიროვი?

თბილისის ტურნირმა უცხოელთა ჩამოუსვლელობით ბევრი ძლიერი მოჭიდავე მოისაკლისა. ქართველთაგან მონაწილეობა თითქმის ყველამ მიიღო, არ ჩანდა ერთი ფალავანი – ევროპის 1993 წლის ჩემპიონი, გორელი ზაზა ზოზიროვი. იგი ვერც მაყურებელთა შორის ვიხილეთ. დავინტერესდით ამ მოჭიდავის არყოფნის მიზეზით და განმარტება მის მწვრთნელს ნუგზარ სხირელს ვთხოვეთ. პასუხი საკმაოდ ვრცელი გამოვიდა:

– არსებობს სპორტკომიტეტის 1992 წლის აპრილის დადგენილება, რომლის მიხედვითაც ევროპის ჩემპიონს ეკუთვნის პრემია ათასი დოლარის ოდენობით. ზოზიროვმა 1993 წლის მაისში სტამბოლში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. ამ შეჯიბრების შემდეგ გამოვიდა ახალი დადგენილება, [illegible] შიც სწერია, რომ ჩემპიონის [illegible] ჯილდოვება ხდება კუპონებით, 300 ათასი კუპონით. ზოზიროვს ძველი დადგენილებით ეკუთვნოდა დოლარები და ამიტომ ის კუპონები, რომელიც გამოუწერეს, ცხადია, არ აიღო.

არადა, ზაზას მატერიალურად ძალიან უჭირდა. მოგეხსენებათ, წარმოშობით იგი ოსია. სამი წლის წინ მისი მშობლები ვლადიკავკაზში გადავიდნენ საცხოვრებლად. ზაზა არ გაჩერდა იქ და საქართველოში დაბრუნდა. უმშობლებოდ დარჩენილი 20 წლის ბიჭი, ფაქტიურად, ქუჩაში სადილობდა და გახშმობდა. მაინც არ წავიდა მშობლებთან, რადგან დაპირებული დოლარების იმედი ჰქონდა. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ ცარიელ-ტარიელი გაემგზავრა.

მსოფლიო ჩემპიონატზე იცით, რომ შეხვედრა წააგებინეს. ამის გამო ჩვენს პრეზიდენტს გურამ გედეხაურს მკაცრი საუბარი ჰქონდა ფილა-ს პრეზიდენტთან ერცეგანთან... თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. იქიდან რომ დაბრუნდა, ზოზიროვი ისეთ გაჭირვებაში იყო, რომ შაბათ-კვირას მშობლებთან ვლადიკავკაზში გარბოდა და საჭმელი ჩამოჰქონდა.

რატომ ჩავარდა ეს ბიჭი ასეთ დღეში? იცით რა მოხდა სტამბოლში? ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრის დათმობაში ზაზას 5 ათასი დოლარი შეაძლიეს. ზოზიროვმა სიცილი რომ დააყარა, მაშინ კალამი და ქაღალდი შეაჩეჩეს და რა რიცხვსაც დაწერ, იმდენს გადაგიხდითო. ზაზამ იქიდან ოქროს მედალი ჩამოიტანა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ თავისი ოფლით მოპოვებულ ათას დოლარს აქ აიღებდა... იქვე, იმავე შეჯიბრებაზე, ბელორუსიელმა სერგეი სმალმა 25 ათას დოლარად გაყიდა ფინალი. ვინ დარჩა ახლა მოგებული?

ამასობაში ჩვენამდე ხმები მოვიდა, რომ რუსეთში საქართველოდან წასულ მოჭიდავეებს 200 ათას რუსულ მანეთს უხდიან ხელფასად. სტამბოლში ვნახეთ ჩვენი თანამემამულე მერაბ ვალიევი. მან უკრაინის სახელით მეორე ადგილი დაიკავა და სპონსორმა დარბაზშივე აჩუქა „ვოლვოს" გასაღები. ერთ დღეს ზაზამაც მთხოვა, წავალ რუსეთში, ბედს ვცდიო. წინააღმდეგობა ვერ გაუწიე, რადგან ვერაფრით ვაკმაყოფილებდი. 300 ათასი კუპონით, ბოლო ორ თვეს რომ იღებდა, ერთი კვირა თუ ისადილებდა.

თავიდან ზაზა ვლადიკავკაზში წავიდა. ამასობაში ოლიმპიურმა კომიტეტმა 100 დოლარი სტიპენდია დაუნიშნა. მე კაცი გავუგზავნე, ეს ამბავი რომ მეცნობებინა, მაგრამ თურმე მერაბ ვალიევს ჩამოუკითხა და კიევში წაეყვანა. მე კიდევ დაველაპარაკები ზოზიროვს და თუ აქეთ წამოსვლაზე დავითანხმე, ხომ კარგი. იგი ელდარ კურტანიძესთან ერთად [illegible] ნტის ოლიმპიადის მედლის რეალური კანდიდატია. თუ არ ჩამოვიდა და კიდევ ერთი შემთხვევა გვექნება, როცა ჩვენი გაზრდილი მოჭიდავე მედლებს სხვა ქვეყანას მოუტანს. თუმცა, როცა ზოზიროვი ჩვენთან ერთხელ დაბრუნდა და მედალი მოგვიტანა, მაინც უპატრონოდ იყო დატოვებული.

# ჩვენი ვარჯიში ტურნირებია



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის ზაზა თურმანიძისთვის ტურნირს მისი გუნდის წევრების დონე უნდა დაენახვებინა. მაგრამ შეხვედრები საკონტროლო შერკინებებს დაემსგავსა.

– ყველამ კარგად იცის, რა დღეში ვართ. ვერ ვვარჯიშობთ. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დარბაზამდე მისვლასაც ვერ ვახერხებთ. ამის შემხედვარეს ძალიან მიჭირს მუშაობაც და მოჭიდავეებისგან რამეს მოთხოვნა. ასე უვარჯიშებელი ვართ და თუ სადმე ტურნირზე მოვხვდით, ეგ არის ჩვენი ვარჯიში. შეკრებასაც ვერ ვატარებთ: უსახსრობა – ერთი, და ბაზაც არა გვაქვს, რომ გუნდმა თავი მოიყაროს.

სამწუხაროდ, ჩვენი მოჭიდავეების დონეს ახლა ვერ განვსაზღვრავ. ვნახოთ, ახლა რამდენიმე ტურნირი გველის და იქ გამოჩნდება ყველაფერი. თუმცა, ბევრი არაფერი გვრჩება – თურქეთის ტურნირი უფულობის გამო გამოვტოვეთ. ორშაბათს (ესე იგი გუშინ – რედ.) ირანში მივდიოდით, ხოლო მარტში მინსკში მედვედის სახელობის ტურნირია. აპრილში კი, იტალიაში ევროპის ჩემპიონატია. ამ შეჯიბრების შემდეგ, რაც ჯერჯერობით ვიცით, ერთ ტურნ[illegible] უნგრეთში [illegible] პოლონეთში [illegible] და სექტემბერში [illegible] მსოფლიო ჩემ[illegible]ატზე.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მიღბლო ჯამალი

ოთხშაბათი, 26 იანვარი

ბოსტონ სელტიქსი — მაიამი ჰიტი 103:98, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — დეტროიტ პისტონზი 108:92.

ორლანდო მეჯიკი — შარლოტ ჰორნეტსი 145:120. შაკილ ო ნილის და ალონსო მურნინგის დუელი არ შედგა. სკოტ სკაილზმა პირველი მეოთხედის მეათე წუთზე შემთხვევით ჩაარტყა მურნინგს, რაც ამ უკანასკნელს წვივის ჩალურჯებად და მატჩის მიტოვებად დაუჯდა. შაკილმა 36 ქულა მოუტანა „ორლანდოს".

ატლანტა ჰოუქსი — ფინიქს სანზი 116:107. „მზეებს" მეცხრე თამაშია სიკაშკაშე აკლიათ — შარშანდელი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ჩარლზ ბარკლი და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი კევინ ჯონსონი დამტვრეულები არიან. სედრიკ სებალოსი (40 ქულა) ცდილობს ამის ანაზღაურებას, მაგრამ მხარს არავინ უბამს. ატლანტელმა სტეისი ოგმონმა ყველა ნასროლი ბურთი ჩააგდო და 23 ქულა მოაგროვა.

ფილადელფია-76 — დალას მავერიქსი 104:90. „დალასმა" 40-დან 38-ე თამაში წააგო. ორივე გამარჯვება მან მეორე გაჭირვებულთან, „მინესოტასთან" მოიპოვა.

მინესოტა ტიმბერვულვზი — იუტა ჯაზი 100:98. „რუხმა მგელმა" ჩაკ პერსონმა (22 ქულა), ტრავმის გამო წინა სამი თამაში რომ გამოტოვა, დაბრუნება ტრიუმფით აღნიშნა: მატჩის დამთავრებამდე 1,9 წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო „იუტას". 1989 წლიდან, რაც „მინესოტა" NBA-შია, მან მხოლოდ მეხუთედ (24 მატჩიდან) შესძლო „ჯაზის" დამარცხება.

ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — ინდიანა პეისერზი 103:99. ზორვატმა ვლადე დივაცმა სეზონის საუკეთესო შედეგი უჩვენა — 26 ქულა. აქ შედის ის სამქულიანიც, რომელიც მან დამთავრებამდე ერთი წუთით და სამი წამით ადრე ჩააგდო და საბოლოოდ გაუქარწყლა იმედები ზედიზედ მეოთხე მატჩში დამარცხებულ „ინდიანას".

ხუთშაბათი 27 იანვარი

ჰიუსტონ როკიტსი — საკრამენტო კინგზი 113:97, დენვერ ნაგიტსი — ინდიანა პეისერზი 113:106.

ვაშინგტონ ბულიტსი — დალას მავერიქსი 98:95. დალასელები ახლოს იყვნენ სეზონში მესამე გამარჯვებასთან, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ათი წამით ადრე ოცნება დაემსხვრათ: წლევანდელი დრაფტის მეოთხე კალათბურთელმა ჯამალ მაშბურნმა ერთხელ ააცდინა, შემდეგ კვლავ დაეუფლა ბურთს და მისი სამქულიანი ფარს მოხვდა. ჯამალს თამაში ნამდვილად არ წაუვიდა — 23 ნასროლი ბურთიდან 16 მიზანს ააცილა. დედაქალაქელებში საუკეთესო იყო ტომ გულიოტა — 23 ქულა.

კლივლენდ კავალიერსი — ჩიკაგო ბულზი 100:84. მარკ პრაისმა (21 ქულა, 14 პასი) და ჯერალდ ვილკინსმა (17 ქულა) შეწყვიტეს ჩიკაგოს შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია. „ხარებს" ვერც სკოტი პიპენმა (31 ქულა) უშველა. აღსანიშნავია, რომ „მხედრებს" ჩიკაგოელებთან უკანასკნელი ხუთი მატჩი (შარშანდელი ოთხი ფლეიოფის ჩათვლით) წაგებული ჰქონდათ.

სიეტლ სუპერსონიქსი — ნიუ ჯერსი ნეტსი 112:92. წყნარი ოკეანის ჯგუფის ლიდერს მატჩი გარი პეიტონმა (21 ქულა), სემ პერკინსმა (20 ქულა) და რიკი პირსმა (20 ქულა) მოაგებინეს. „ნეტსის" საუკეთესო ბომბარდირმა დერიკ კოულმენმა (საშუალო შედეგიანობა 21,2 ქულა) ვერ ივარგა — მხოლოდ 12 ქულა მოაგროვა, თანაც მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სიეტლის „კოლიზეუმში" თავმოყრილი მაყურებელს იატაკიდან წამოდგომისას ფრიად უხამსი ჟესტი უჩვენა და ამისათვის მოედნიდან გააძევეს.

ნიუ-იორკ ნიქსი — ლოს-ანჯელეს კლიპერსი 103:101. კალიფორნიის მიწისძვრის გამო „კლიპერსმა" ავერ უკვე მეოთხე მატჩი ვერ გამართა ლოს-ანჯელესში (მისი დარბაზი დაზიანებულია). აღნიშნული შეხვედრა ანაჰეიმში ჰოკეის კლუბ „ანაჰეიმ მაითი დაქსის" დარბაზში გაიმართა და 17 507 მაყურებელი დაესწრო. მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკელმა „ცეცხლისმფრქვეველმა ურჩხულმა" პატრიკ იუინგმა (32 ქულა, 16 მოხსნა) საფინალო სირენამდე 0,9 წამით ადრე უკლებლივ ისროლა და თავის გუნდს მეთოთხმეტედ მოაგებინა „კლიპერსთან" გამართულ უკანასკნელ 16 მატჩში. ლოს-ანჯელესელმა დანი მანინგმა 39 ქულა მოაგროვა.

[illegible] 28 იანვარი

ჩიკაგო ბულზი — მილუოკი ბაქსი 113:96, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 108:96.

ატლანტა ჰოქსი — შარლოტ ჰორნეტსი 117:105. ცენტრალური დივიზიონის ლიდერს მოგება არ გასჭირვებია. დომინიკ ვილკინსმა (27 ქულა), მუკი ბლეილოკმა (25 ქულა) და კევინ ვილისმა (24 ქულა, 12 მოხსნა) ზედიზედ მესამე მარცხი აგემეს „ჰორნეტსს". ამ გამარჯვების შემდეგ „ატლანტას" მწვრთნელი ლენი ვილკენსი დაინიშნა აღმოსავლეთის გაერთიანების ნაკრების მწვრთნელად „ოლ სტარზის" თამაშისთვის.

მაიამი ჰითი — ორლანდო მეჯიკი 106:97. გლენ რაისმა 34 ქულა გააკეთა და დაეხმარა „ჰითს", შეეწყვიტა „ორლანდოს" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია.

ფინიქს სანზი — ფილადელფია-76 108:103. ბარკლისა და ჯონსონს მესამე დაშავებული ფინიქსელი დენი ეინჯიც დაემატა. სამაგიეროდ კარგად ითამაშა დან მარლიმ (33 ქულა), რომელმაც 230 სმ სიმაღლის, წლევანდელი დრაფტის მეორე ნომერს, შონ ბრედლის (25 ქულა) აჯობა.

იუტა ჯაზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 119:91. ჯაზელმა მელოუნებმა — კარლმა (30 ქულა, 17 მოხსნა) და ჯეფმა (27 ქულა) აშკარად დაჩაგრეს „მეომართა" სარდლები ლატრელ სპრიუელი, [illegible] ვებერი და ახლახანს გამოჯანმრთელებული კრის მულინი. სამეულმა გუნდს 54 ქულა მოუტანა. „ვორიორზის" კიდევ ორი ვარსკვლავი, ტიმ ჰარდეუეი და შარუნას მარჩიულონისი წელს ტრავმის გამო არ თამაშობენ.

ლოს ანჯელეს ლეიკერზი — დეტროიტ პისტონზი 105:97. 80-იანი წლებში ასოციაციის ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლი დაუძინებელი მტრების შეხვედრაში მეორე მეოთხედის ბოლოსთვის „ტბელნი" 32 ქულით იგებდნენ. შემდეგ „დგუშები" ამუშავდნენ: აიზია თომასმა 31 ქულა გააკეთა, დებიუტანტმა ლინდსი ჰანტერმა — 23, მაგრამ სხვაობა 5 ქულამდეღა შემცირდა. „ლეიკერსშიც" გამოიჩინა თავი ახალბედამ: ჯორჯ ლინჩმა 20 ქულა მოიპოვა და 18 ბურთი მოხსნა.

შაბათი, 29 იანვარი

დალას მავერიქსი — საკრამენტო კინგზი 108:101. დალასმა შინ ზედიზედ 19 მარცხის შემდეგ როგორც იქნა მოიგო, რითაც თავი დააღწია არასახარბიელო რეკორდის გამეორებას, რომელიც 1953 წლიდან ეკუთვნის ამერიკის კალათბურთის ლიგის „სენტ ლუის ბრაუნზს" — ზედიზედ 20 წაგება. არადა, „დამთხვეულთა" რიგებში ბოლო ორი წლის დრაფტის მეოთხე ნომერი თამაშობს. მაშბურნის გარდა ესაა შარშანდელი მეოთხე ნომერი ჯიმ ჯექსონი, რომელმაც ამ მატჩში 24 ქულა გააკეთა. „მეფეებიდან" საუკეთესო იყო „გოლდენ სტეიტიდან" ორი წლის წინ გაძევებული მიჩ რიჩმონდი (34 ქულა).

სიეტლ სუპერსონიქსი — ნიუ-იორკ ნიქსი 92:106. მოგებულთაგან პატრიკ იუინგმა 21 ქულა და 18 მოხსნა შეიძინა. მასპინძლები პირველი ნახევრის შემდეგ 7 ქულით იგებდნენ, მაგრამ მეორეში სროლების 32 პროცენტიღა ჩააგდეს.

კლივლენდ კავალიერსი — მაიამი ჰითი 98:113. ფარზე ბრძოლა „მაიამიმ" 54:25 მოიგო. გლენ რაისმა 25 ქულა ჩააგდო, რის შედეგადაც „მაიამიმ" პირველად გაიმარჯვა რიჩფილდის „კოლიზეუმში". კლივლენდის ცენტრმა ბრედ დოჰერტიმ 16 ქულა აიღო და კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა — 10 271 ქულა.

სან-ანტონიო სპერზი — ატლანტა ჰოქსი 100:87. მას შემდეგ, რაც 17 წლის წინ მიიღეს ასოციაციაში, სან-ანტონიომ მეხუთასედ მოიგო შინ. დევიდ რობინსონმა მოაგროვა 35 ქულა, 12 მოხსნა და 6 პასი. ატლანტაში თავი გამოიჩინა ცენტრმა კევინ ვილისმა — 24 ქულა, სავე შეირცხვინეს — მუკი ბლეილოკმა და დომინიკ ვილკინსმა, რომლებიც ბოლო მეოთხედში არც კი ათამაშეს.

ჰიუსტონ როკიტსი — ინდიანა პეისერზი 108:119. „ინდიანამ" სროლათა 61 პროცენტი ჩააგდო და პირველად მოიგო მეტოქეს სტუმრად 1979 წლის შემდეგ. ბოლო მეოთხედში ისინი 21 ქულითაც ლიდერობდნენ. მათმა ჰოლანდიელმა ცენტრმა რიკ სმიტსმა 9-დან 8 ჩააგდო და 19 ქულა მოაგროვა.

ვაშინგტონ ბულიტსი — ორლანდო მეჯიკი 99:103. თამაში დრამატულად დამთავრდა. ბოლო 29 წამში წლევანდელი დრაფტის მესამე ნომერმა, გამთამაშებელმა ანფერნი ჰარდევეიმ 4 საჯარიმოდან ყველა ჩააგდო: მისი პირველი ორი ტყორცნის მერე „ორლანდო" ქულით აჯობდა, როცა უკვე მასპინძელთა [illegible], [illegible] აყლაყუდა გეორგ მურეშანმა სხვაობა ერთ ქულამდე


ჯამალ მაშბურნი

დაიყვანა 99:100. მერე ისევ ჰარდევეიმ იყოჩაღა, ვაშინგტონელმა გულიოტამ სამქულიანი ააცილა და ბოლო წამებზე ნიკ ანდერსონმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩაუგდო მასპინძლებს.

ფილადელფია-76 — მილუოკი ბაქსი 94:89. „ფილადელფიამ" ბოლო მეოთხედმიღა მოიგო, მესამეში 13 ქულითაც კი აგებდა, დამთავრებამდე 7 წუთით ადრე კი — 11 ქულით, მაგრამ მერე, შარშანწინ ბარკლის სანაცვლოდ „ფინიქსიდან" გადმოსული ჯეფ ჰორნაჩეკის სამქულიანებით ზედიზედ 10 ქულა მოაგროვა. წაგებულებში ერიკ მერდოკმა 23 ქულა ჩააგდო. „მილუოკიმ" ზედიზედ მესამედ წააგო, ბოლო თერთმეტი მატჩიდან — მერვედ.

დენვერ ნაგიტსი — დეტროიტ პისტონზი 128:110. თამაშის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა შვიდწუთიანი მონაკვეთი 21:3 მოიგეს და 17 ქულით დაწინაურდნენ. „დენვერის" შვიდი მოთამაშის მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოიხატა. „ერისკაცობაში" კრის ჯექსონმა, აწ კი გამუსლიმებულმა მაჰმუდ აბდულ რაუფმა 17 ქულა ჩააგდო, რეჯი ვილიამსმა — 20, ზაირელმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ კი 15 ქულას 15 მოხსნა დაუმატა.

ლოს-ანჯელეს კლიპერზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 103:93. „კლიპერსი" 8 იანვრის მიწისძვრის შემდეგ პირველად დაუბრუნდა თავის დარბაზს, რაც რონ ჰარპერმა 30 ქულის ჩაგდებით აღნიშნა.

გოლდენ სტეიტ ვორიორსი — ნიუ-ჯერსი ნეტსი 106:126. შინ ზედიზედ 6 მოგების შემდეგ „მეომრები" დამარცხდნენ. სტუმრებმა ფარზე ბრძოლა 60:36 მოიგეს. მათგან საუკეთესონი იყვნენ კენი ანდერსონი (24 ქულა), დერიკ კოულმენი (19) და კევინ ედვარდსი (17).

| მდგომარეობა: | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის ჯგუფი | | | |
| ნიუ-იორკი | 29 | 11 | 725 |
| ორლანდო | 26 | 17 | 605 |
| მაიამი | 20 | 21 | 488 |
| ნიუ-ჯერსი | 19 | 22 | 463 |
| ბოსტონი | 19 | 23 | 452 |
| ფილადელფია | 18 | 24 | 429 |
| ვაშინგტონი | 14 | 27 | 341 |
| ცენტრალური ჯგუფი | | | |
| ატლანტა | 29 | 11 | 725 |
| ჩიკაგო | 29 | 12 | 707 |
| შარლოტი | 22 | 20 | 524 |
| კლივლენდი | 20 | 21 | 488 |
| ინდიანა | 17 | 23 | 425 |
| მილუოკი | 12 | 30 | 286 |
| დეტროიტი | 9 | 32 | 220 |
| შუა-დასავლეთის ჯგუფი | | | |
| ჰიუსტონი | 31 | 10 | 756 |
| სან-ანტონიო | 29 | 14 | 674 |
| იუტა | 28 | 15 | 651 |
| დენვერი | 20 | 21 | 488 |
| მინესოტა | 14 | 27 | 341 |
| დალასი | 3 | 39 | 71 |
| წყნარი ოკეანის ჯგუფი | | | |
| სიეტლი | 31 | 9 | 775 |
| ფინიქსი | 28 | 12 | 700 |
| პორტლენდი | 25 | 16 | 610 |
| გოლდენ სტეიტი | 22 | 18 | 550 |
| ლ. ა. კლ[illegible] | 15 | 25 | 375 |
| ლ. ა. ლე[illegible] | 14 | 26 | 350 |
| საკრამენტო | [illegible] | 29 | [illegible] |



## ზამთრის XVII ოლიმპიადის განრიგი

ლილეჰამერი, ნორვეგია. 12-27 თებერვალი, 1994

| | | |
|---|---|---|
| 12 თებ | გახსნის ცერემონიალი | 15.00 |

### სათხილამურო რბოლა (10) ლილეჰამერი, „ოლიმპიკ პარკი"

| | | |
|---|---|---|
| 13 თებერვალი | 15 კმ. ქალები. კლასიკური სტილი | 12.00 |
| 14 თებერვალი | 30 კმ. ვაჟები. კლასიკური სტილი | 12.30 |
| 15 თებერვალი | 5 კმ. ქალები. კლასიკური სტილი | 12.30 |
| 17 თებერვალი | 10 კმ. ვაჟები. კლასიკური სტილი | 12.30 |
| | 10 კმ. ქალები. თავისუფალი სტილი | 14.30 |
| 19 თებერვალი | [illegible] კმ. ვაჟები. თავისუფალი სტილი | 14.30 |
| 21 თებერვალი | ესტაფეტა 4X5 კმ. ქალები | 12.30 |
| 22 თებერვალი | ესტაფეტა 4X10 კმ. ვაჟები | 12.30 |
| 24 თებერვალი | 30 კმ. ქალები. თავისუფალი სტილი | 14.30 |
| 27 თებერვალი | 50 კმ. ვაჟები. თავისუფალი სტილი | 12.00 |

### ჩრდილოური ორჭიდი (2) ლილეჰამერი, „ოლიმპიკ პარკი"

| | | |
|---|---|---|
| 18 თებერვალი | ტრამპლინიდან ხტომა. პირადი | 14.30 |
| 19 თებერვალი | 15 კმ. პირადი | 12.30 |
| 23 თებერვალი | ტრამპლინიდან ხტომა. გუნდური | 14.30 |
| 24 თებერვალი | ესტაფეტა 3X10 კმ. გუნდური | 12.00 |

### ტრამპლინიდან ხტომა (3) ლილეჰამერი, „ოლიმპიკ პარკი"

| | | |
|---|---|---|
| 20 თებერვალი | დიდი ტრამპლინი. პირადი | 15.00 |
| 22 თებერვალი | დიდი ტრამპლინი. გუნდური | 14.30 |
| 25 თებერვალი | საშუალო ტრამპლინი. პირადი | 14.30 |

### ბიატლონი (6) ლილეჰამერი, „ოლიმპიკ პარკი"

| | | |
|---|---|---|
| 18 თებერვალი | 15 კმ. ქალები | 12.00 |
| 20 თებერვალი | 20 კმ. ვაჟები | 12.00 |
| 23 თებერვალი | 10 კმ. ვაჟები | 12.00 |
| | 7,5 კმ. ქალები | 15.00 |
| 25 თებერვალი | ესტაფეტა 3X7,5 კმ. ქალები | 12.00 |
| 26 თებერვალი | ესტაფეტა 4X10 კმ. ვაჟები | 15.00 |

### სამთო თხილამურები (10) კვიტფიელი; ჰაფიელი

| | | |
|---|---|---|
| 13 თებერვალი | სწრაფდაშვება. კაცები | 14.00 |
| 14 თებერვალი | კომბინაცია. სწრაფდაშვება. ვაჟები | 14.00 |
| 15 თებერვალი | სუპერგიგანტი. ქალები | 14.00 |
| 17 თებერვალი | სუპერგიგანტი. ვაჟები | 14.00 |
| 19 თებერვალი | სწრაფდაშვება. ქალები | 14.00 |
| 20 თებერვალი | კომბინაცია. სწრაფდაშვება. ქალები | 14.00 |
| 21 თებერვალი | კომბინაცია. სლალომი. ქალები | 11.30 |
| 23 თებერვალი | გიგანტური სლალომი. ვაჟები | 11.30 |
| 24 თებერვალი | გიგანტური სლალომი. ქალები | 11.30 |
| 25 თებერვალი | კომბინაცია. სლალომი. ვაჟები | 11.30 |
| 26 თებერვალი | სლალომი. ქალები | 11.30 |
| 27 თებერვალი | სლალომი. ვაჟები | 11.30 |

### ფრისტაილი (3) ლილეჰამერი, „ოლიმპიკ პარკი"

| | | |
|---|---|---|
| 15 თებერვალი | მოგული. ქალები. ნახევარფინალი | 15.00 |
| | მოგული. ვაჟები. ნახევარფინალი | 15.00 |
| 16 თებერვალი | მოგული. ქალები. ფინალი | 15.00 |
| | მოგული. ვაჟები. ფინალი | 15.00 |

### ციგურაობა (10) ჰამარი, „ოლიმპიკ ჰალი"

| | | |
|---|---|---|
| 13 თებერვალი | 5000 მ. ვაჟები | 16.00 |
| 14 თებერვალი | 500 მ. ვაჟები | 16.00 |
| 16 თებერვალი | 1500 მ. ვაჟები | 16.00 |
| 17 თებერვალი | 3000 მ. ქალები | 16.00 |
| 18 თებერვალი | 1000 მ. ვაჟები | 16.00 |
| 19 თებერვალი | 500 მ. ქალები | 16.00 |
| 20 თებერვალი | 10000 მ. ვაჟები | 16.00 |
| 21 თებერვალი | 1500 მ. ქალები | 16.00 |
| 23 თებერვალი | 1000 მ. ქალები | 17.00 |
| 25 თებერვალი | 5000 მ. ქალები | 16.00 |

### შორტტრეკი (4) ჰამარი, „აის რინკი"

| | | |
|---|---|---|
| 22 თებერვალი | 500 მ. ქალები. კვალიფიკაცია | 21.00 |
| | 1000 მ. ვაჟები. კვალიფიკაცია | 21.00 |
| 24 თებერვალი | 500 მ. ქალები. ფინალი | 21.00 |
| | 1000 მ. ვაჟები. ფინალი | 21.00 |
| 26 თებერვალი | ესტაფეტა 3000 მ. ქალები | 22.00 |
| | ესტაფეტა 5000 მ. ვაჟები | 22.00 |

### ფიგურული სრიალი (4) ჰამარი, „აის რინკი"

| | | |
|---|---|---|
| 13 თებერვალი | წყვილები. ორიგინალური პროგრამა | 22.00 |
| 15 თებერვალი | წყვილები. თავისუფალი პროგრამა | 22.00 |
| 17 თებერვალი | ვაჟები. ორიგინალური პროგრამა | 21.00 |
| 18 თებერვალი | ცეკვები. ტექნიკური პროგრამა | 21.00 |
| 19 თებერვალი | ვაჟები. თავისუფალი პროგრამა | 21.00 |
| 20 თებერვალი | ცეკვები. ორიგინალური პროგრამა | 21.00 |
| 21 თებერვალი | ცეკვები. თავისუფალი პროგრამა | 21.00 |
| 23 თებერვალი | ქალები. ორიგინალური პროგრამა | 21.00 |
| 25 თებერვალი | ქალები. თავისუფალი პროგრამა | 21.00 |
| 26 თებერვალი | საჩვენებელი გამოსვლები | 17.00 |

### ციგაობა (3) ჰუნდერფოსენი

| | | |
|---|---|---|
| 13 თებერვალი | ვაჟები. ერთადგილიანი. I და II დაშვება | 12.00 |
| 14 თებერვალი | ვაჟები. ერთადგილიანი. III და IV დაშვება | 12.00 |
| 15 თებერვალი | ქალები. ერთადგილიანი. I და II დაშვება | 12.00 |
| 16 თებერვალი | ქალები. ერთადგილიანი. III და IV დაშვება | 12.00 |
| 18 თებერვალი | ვაჟები. ორადგილიანი | 12.00 |

### ბობსლეი (2) ჰუნდერფოსენი

| | | |
|---|---|---|
| 19 თებერვალი | ორადგილიანი. I და II დაშვება | 12.00 |
| 20 თებერვალი | ორადგილიანი. III და IV დაშვება | 12.00 |
| 26 თებერვალი | ოთხადგილიანი. I და II დაშვება | 12.00 |
| 27 თებერვალი | ოთხადგილიანი. III და IV დაშვება | 12.00 |

### ჰოკეი (1) ლილეჰამერი, „ჰაკონ ჰალი"; გიოვიკი, „ოლიმპიკ ჰალი"

| | | |
|---|---|---|
| 12-21 თებერვალი | წინასწარი ტურნირი 2 ქვეჯგუფში | |
| 22-23 თებერვალი | მეოთხედფინალები; IX-XII ადგილები | |
| 24 თებერვალი | V-VIII ადგილები; მატჩი XI-XII ადგილებისთვის | |
| 25 თებერვალი | ნახევარფინალები; მატჩი IX-X ადგილებისთვის | |
| 26 თებერვალი | მატჩები III-IV, V-VI, VII-VIII ადგილებისთვის | |
| 27 თებერვალი | მატჩი პირველი-მეორე ადგილებისთვის | 17.15 |

| | | |
|---|---|---|
| 27 თებერვალი | დახურვის ცერემონიალი | 22.00 |

სპორტის სახეობებში ფრჩხილებში მითითებული ციფრი გასათამაშებელი მედლების კომპლექტთა რაოდენობაა. შეჯიბრებების დაწყების დრო თბილისურია.

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მათემატიკური სიზუსტით).

არათანაბარი ხიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 5 000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | ესპანეთის ჩემპიონატი | | | | |
| | რაიო ვალეკანო — ლერიდა | 0:1 | 1,4 | 2,2 | 3,0 |
| | ლოგრონიესი — ტენერიფე | | 1,6 | 1,8 | 3,8 |
| | სელტა — ატლეტიკო | | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | სპორტინგი — ოვიედო | 0:1 | 1,8 | 1,8 | 2,5 |
| | რეალი — დეპორტივო | | 1,7 | 2,1 | 3,0 |
| | სევილია — ვალიადოლიდი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ალბასეტე — სარაგოსა | | 1,9 | 2,5 | 2,2 |
| | ბარსელონა — ბილბაო | 0:1 | 1,8 | 1,8 | 2,5 |
| | იტალიის ჩემპიონატი | | | | |
| | კრემონეზე — ატალანტა | | 1,5 | 2,0 | 3,4 |
| | კალიარი — ფოჯა | | 1,6 | 2,0 | 3,4 |
| | ნაპოლი — ჯენოა | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | რეჯანა — იუვენტუსი | | 2,6 | 2,1 | 1,8 |
| | ინტერი — ლაციო | | 1,4 | 2,0 | 4,5 |
| | რომა — მილანი | | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | ტორინო — პარმა | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| | სამპდორია — უდინეზე | 0:1 | 1,4 | 1,8 | 3,5 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი

| | ჩემპიონი (17.07) | ფინალი (13.07) | 1/2 (10.07) | 1/4 (05.07) | 1/8 (30.06) |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3,0-1,8 | 2,3-1,9 | 1,8-2,1 | 1,6-2,5 | 1,5-150,0 |
| გერმანია | 3,2-1,8 | 2,3-1,9 | 1,8-2,1 | 1,6-2,5 | 1,5-120,0 |
| იტალია | 3,2-1,8 | 2,3-1,9 | 1,8-2,1 | 1,6-2,4 | 1,5-45,0 |
| არგენტინა | 3,5-1,8 | 2,5-1,9 | 1,9-2,1 | 1,6-2,4 | 1,5-28,0 |
| პოლონეთი | 4,5-1,8 | 3,0-1,9 | 2,0-2,0 | 1,6-2,4 | 1,5-19,0 |
| კოლუმბია | 9,0-1,7 | 6,0-1,7 | 3,9-1,5 | 1,7-2,4 | 1,5-2,8 |
| მექსიკა | 10,0-1,6 | 7,0-1,7 | 4,7-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-2,6 |
| აშშ | 12,0-1,6 | 8,0-1,6 | 4,7-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-2,6 |
| ესპანეთი | 12,0-1,6 | 8,0-1,6 | 4,7-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-2,6 |
| კამერუნი | 22,0-1,6 | 13,0-1,6 | 4,8-1,6 | 2,0-2,0 | 1,6-2,4 |
| ნიგერია | 22,0-1,6 | 13,0-1,6 | 4,8-1,6 | 2,0-2,0 | 1,6-2,4 |
| ბელგია | 28,0-1,5 | 18,0-1,6 | 7,0-1,5 | 2,2-1,8 | 1,7-2,3 |
| მაროკო | 28,0-1,5 | 18,0-1,6 | 7,0-1,5 | 2,2-1,8 | 1,7-2,3 |
| ნორვეგია | 28,0-1,5 | 18,0-1,6 | 7,0-1,5 | 2,2-1,8 | 1,7-2,3 |
| შვედეთი | 45,0-1,5 | 30,0-1,5 | 13,0-1,5 | 2,8-1,7 | 1,8-2,2 |
| ირლანდია | 70,0-1,5 | 45,0-1,5 | 22,0-1,5 | 3,7-1,6 | 1,8-2,2 |
| რუსეთი | 70,0-1,5 | 45,0-1,5 | 22,0-1,5 | 3,7-1,6 | 1,8-2,2 |
| რუმინეთი | 70,0-1,5 | 45,0-1,5 | 22,0-1,5 | 3,7-1,6 | 1,8-2,2 |
| ბულგარეთი | 90,0-1,5 | 60,0-1,5 | 26,0-1,5 | 4,5-1,6 | 1,9-2,1 |
| საბერძნეთი | 90,0-1,5 | 60,0-1,5 | 26,0-1,5 | 4,5-1,6 | 1,9-2,1 |
| შვეიცარია | 90,0-1,5 | 60,0-1,5 | 26,0-1,5 | 4,5-1,6 | 1,9-2,1 |
| ბოლივია | 95,0-1,5 | 65,0-1,5 | 28,0-1,5 | 4,5-1,6 | 1,9-2,1 |
| კორეა | 230,0-1,5 | 190,0-1,5 | 95,0-1,5 | 14,0-1,6 | 2,0-2,0 |
| საუდ. არაბეთი | 450,0-1,5 | 350,0-1,5 | 180,0-1,5 | 25,0-1,6 | 2,0-2,0 |

მაგალითისთვის: ბრაზილიის სტრიქონისა და ფინალის სვეტის გადაკვეთაზე წერია 2,5-1,9. პირველი რიცხვი (2,5) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ბრაზილია გავა ფინალში, ხოლო მეორე რიცხვი (1,9) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ბრაზილია ვერ გავა ფინალში.

აღნიშნული კოეფიციენტები მოქმედებს 15 თებერვლამდე

ქვითარზე აღინიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

## 15 თებერვლამდე მოქმედი კოეფიციენტები ევროპული ტურნირები

ფრჩხილებში მითითებულია მოგებების გაცემის დაწყების თარიღი. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ერთი ჯგუფიდან ორი გასული გუნდის გამოცნობისას. მოითხოვეთ სპეციალური ქვითრები.

ნახევარფინალში გასვლა (13.04)
ბარსელონა — 1,3
მონაკო — 1,4
სპარტაკი — 1,8
გალათასარაი — 1,8
მილანი — 1,3
ვერდერი — 1,4
პორტუ — 1,8
ანდერლეხტი — 1,8

ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა (13.04)
ბარსელონა — 1,4
მონაკო — 3,8
სპარტაკი — 4,5
გალათასარაი — 5,5
მილანი — 1,4
ვერდერი — 3,2
პორტუ — 4,8
ანდერლეხტი — 5,8

თასის აღება

ჩემპიონთა თასი (18.05)
მილანი — 2.1
ბარსელონა — 2,4
ვერდერი — 3,7
პორტუ — 5,2
ანდერლეხტი — 6,0
მონაკო — 6,5
სპარტაკი — 8,0
გალათასარაი — 8,0

თასების თასი (04.05)
აიაქსი — 3,2
პარმა — 3,2
რეალი — 3,2
არსენალი — 3,5
ტორინო — 5,0
პსჟ — 5,0
ბაიერი — 6,0
ბენფიკა — 6,5

უეფას თასი (11.05)
იუვენტუსი — 2,2
ინტერი — 2,2
აინტრახტი — 2,8
ბორუსია — 4,8
კალიარი — 7,5
კარლსრუე — 9,0
ბოავიშტა — 23,0
კაზინო — 45,0

ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულები

ინგლისი (08.05)
მანჩესტერ იუნაიტედი — 1,4
ბლეკბერნი — 8,0
ლიდსი — 10,0
არსენალი — 10,0
ნიუკასლი — 25,0
ლივერპული — 30,0
დანარჩენები — 100,0

გერმანია (08.05)
ბაიერნი — 2,8
აინტრახტი — 3,0
ლევერკუზენი — 3,0
ვერდერი — 3,5
კაიზერსლაუტერნი — 4,5
ჰამბურგი — 7,0
დორტმუნდი — 9,0
დანარჩენები — 50,0

იტალია (01.05)
მილანი — 2,0
იუვენტუსი — 2,5
სამპდორია — 3,0
ინტერი — 4,8
პარმა — 4,8
ლაციო — 10,0
ნაპოლი — 30,0
დანარჩენები — 50,0

ესპანეთი (15.05)
ლა კორუნია — 2,5
ბარსელონა — 2,5
რეალი — 3,0
ბილბაო — 7,5
სპორტინგი — 25,0
დანარჩენები — 50,0

## შედეგთა დაფა

### ამერიკული ბურთაობა

ეროვნული ლიგის (ნფლ) პლეი-ოფი

წინასწარი წრე. 8-9.I.1994. ეროვნული გაერთიანება: გრინ-ბეი — დეტროიტი 28:24, ნიუ-იორკი (ჯაიანთს) — მინესოტა 17:10. ამერიკის გაერთიანება: კანზასი — პიტსბურგი 27:24 (დამატებით დროში), ლოს-ანჯელესი (რეიდერს) — დენვერი 42:24

ნახევარფინალი. 15-16.I. ეროვნული გაერთიანება: სან-ფრანცისკო — ნიუ-იორკი 44:3, დალასი — გრინ-ბეი 27:17. ამერიკის გაერთიანება: ბუფალო — ლოს-ანჯელესი 29:23, კანზასი — ჰიუსტონი 28:20

ფინალი. 23.I. ეროვნული გაერთიანება: დალასი — სან-ფრანცისკო 38:21. ამერიკის გაერთიანება: ბუფალო — კანზასი 30:13

XXVIII სუპერბოული. ატლანტა. 30.I. „დალას კოვბოიზ" — „ბუფალო ბილზ" 30:13 (6:13)

დალასმა ზედიზედ მეორედ მოიგო სუპერბოული, ბუფალომ ზედიზედ მეოთხედ წააგო, ეროვნულმა გაერთიანებამ კი ბოლო 11 გათამაშებაში მეათედ გაიმარჯვა

### გოლფი

„ვოლვოს" ევროპული ტური. „დუბაის უდაბნოს კლასიკა", არაბთა გაერთიანებული საამიროები. 27-30.I. გზის ნორმა — 72 დარტყმა

1. ერნი ელსი (სამხრეთ აფრიკა) 20-ით უკეთესი 268 (61, 69, 67, 71); 2. გრეგ ნორმანი (ავსტრალია) 14-274; 3. ვეინ ვესტნერი (სამხრეთი აფრიკა) 13-275; ...

24 წლის იოჰანესბურგელმა ამომავალმა ვარსკვლავმა ჯილდოდ 75 ათასი გირვანქა მიიღო


ტურისტული ფირმა გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია — მანქანის ჩამოყვანით. პირდაპირი რეისი თბილისი — პრაღა. გასვლა პრაღიდან კომფორტული ავტობუსით. საბუთების მიღება სასწრაფოა. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში.
კაირო-ალექსანდრია — გასვლა ყოველ ორშაბათს პირდაპირი რეისით
საბერძნეთი (სალონიკი) — პირდაპირი რეისი თვითმფრინავით ან ავტობუსით
სირია-თურქეთი (ალეპო) — მგზავრობა თბილისიდან კომფორტული ავტობუსით
ფინეთი (ჰელსინკი) — გასვლა სანქტ-პეტერბურგიდან ავტობუსით
თბილისი-ბულგარეთი (ვარნა), თურქეთის გავლით. სტამბულში 2 დღე, ვარნაში 5 დღე. მგზავრობა კომფორტული ავტობუსით

დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ., II ჩიხი, №3 (სილამაზის სალონი „ჰარმონია") ან ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული
ტელეფონები: 29-29-97; 39-36-78; 39-24-32

იყიდება

ისრაელის წარმოების წყლის გამაცხელებელი
ATMOR SUPER-5
(5 კვტ. 220 ვ.),
ფასი 80 $

სხვადასხვა მოდიფიკაციის იაპონური ტელეფონის აპარატები:
PANASONIC KX-T3145 (ორხაზიანი)
PANASONIC KX-T3155 (ორხაზიანი)
PANASONIC KX-T2315 (ერთხაზიანი)

ტელეფონი: 39-36-78

მეტეხი Metechi

საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო

— თარგმნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე
— თარგმანისა და ნებისმიერი სხვა ტექსტის ბეჭდვა გერმანულად, ინგლისურად და რუსულად
— თარგმნა, ბეჭდვა, ფაქსისა და ტელექსის გაგზავნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში
— ტელექსისა და ფაქსის მიღება ნებისმიერი ქვეყნიდან
— ქსეროასლების დამზადება

დავით აღმაშენებლის გამზირი 67
ტელეფონები: 95 11 62, 95 10 63, 95 11 02

კომერციული ბანკი Commercial Bank
მინაგობანკი MINAGOBANK

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

სასტუმრო „აჭარა", ოფისი № 305
ტელეფონი: [illegible]1 096, 364 407

ავსტრალიის ღია პირველობა





# გრაფმა და სამპრასმა მელბურნშიც გაიმარჯვეს

სამი კვირის წინ, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წილისყრის დამთავრებისთანავე, ბუკმეკერებმა ფსონები გამოაცხადეს.

ქალთა შორის გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად, ბუნებრივია, მსოფლიოს პირველი „ჩოგანი" შტეფი გრაფი იქნა დასახელებული პრაქტიკულად ასპროცენტიანი შანსით — მისი კოეფიციენტი თითქმის ერთი-ერთზე იყო. და მაინც, ჩემპიონობის ასეთი ერთსულოვანი წინასწარმეტყველების მიუხედავად, ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ფავორიტი ორკვირიან მარათონულ ტურნირში ერთ სეტსაც არ დაუთმობდა მეტოქეებს. წინასწარი შეხვედრების შედეგებს რომ თავი დავანებოთ, ფინალში მეორე რეიტინგის მქონე არანტა სანჩეს-ვიკარიოს სწორედ რომ გამასხრებას მართლაც, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ბოლო ქულამდე მუდამ ჯიუტად მებრძოლი ესპანელი ამჯერად მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად გამოვიდა „ფლინდერს პარკის" ცენტრალურ კორტზე. მრისხანე მეტოქემ მას ხელი არ გაანძრევინა და სარეკორდოდ მოკლე დროში (57 წუთი) სარეკორდო ანგარიშით — 6:0, 6:2 გაანადგურა.

ამ შთამბეჭდავი გამარჯვებით გერმანელმა ჩოგბურთელმა ყველასთვის სანუკვარი „დიდი სლემის" მოსაპოვებელი წრე შეკრა — შარშანდელი ივნისიდან მოყოლებული ზედიზედ მოიგო საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ის და ავსტრალიის ღია ჩემპიონატები. მაგრამ, მაინც ვერ შესწვდა მეორედ ვერც „სლემს" (შტეფის პირველი ტრიუმფი 1988 წელს შედგა) და ვერც საამისოდ განკუთვნილ მილიონ დოლარს. საქმე ისაა, რომ დებულებით, ოთხივე ეს ტურნირი ერთი კალენდარული წლის განმავლობაში უნდა იქნეს მოგებული.

AUSTRALIAN OPEN

მელბურნში მოპოვებული წარმატება გრაფის გამარჯვებათა უმდიდრეს ნუსხაში „დიდი სლემის" მე-15 მოგებული ასპარეზობაა (5 — უიმბლდონი, 4 — ავსტრალია, 3 — აშშ, 3 — საფრანგეთი). 24 წლის ვეტერანი დღესაც მთელი თავით მაღლა დგას ყველა მეტოქეზე და პრაქტიკულად, მათ წარმატების მინიმალურ შანსსაც არ უტოვებს. ერთადერთი, ვისაც შტეფის შეჩერება ძალუძს, იუგოსლაველი მონიკა სელეშია, მაგრამ მან დღემდე ვერ მოირჩინა მტკივანი ბეჭი და კორტზე დაბრუნებაც ისევ გადაიდო. იმედია, ეს უახლოეს ხანში მოხდება და ამ ორი ფენომენალური ჩოგბურთელის „სამკვდრო-სასიცოცხლო" კონკურენცია კვლავ გაგრძელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ტურნირები, რომლებშიც გრაფი გამოდის, თანდათან ინტერესს დაკარგავს და საყურებლადაც ნაკლებ სასეირო გახდება.

ვაჟთა ფინალიც ნაკლებად საინტერესო გამოდგა, იმდენად აშკარა იყო სადღეისოდ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის, ბერძნული წარმოშობის ამერიკელის პიტ სამპრასის უპირატესობა თანამემამულე ტოდ მარტინთან შეხვედრაში — 7:6, 6:4, 6:4. მთავარი მოვლენები აქ წინა ეტაპზე დატრიალდა, როცა ფარ-ხმალის დაყრა მოუხდათ ავსტრალიის ორ-ორგზის ჩემპიონებს შვედ სტეფან ედბერგსა და ამერიკელ ჯიმ კურიეს. მაგრამ, თუკი ამ უკანასკნელის მარცხი სამპრასთან კანონზომიერი იყო, 28 წლის ედბერგი, სრულიად მოულოდნელად, ლამის ორმეტრიანი მარტინის „ლუკმა" გახდა — 6:3, 6:7, 6:7, 6:7.

23 წლის ამერიკელი პირველად გავიდა ასეთი მაღალი რანგის ასპარეზობის ფინალში. სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ, მარტინი კლასიფიკაციაში 122-ე იყო, მაგრამ შარშან რამდენიმე ტურნირში წარმატების შემდეგ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა და უძლიერესთა ოცეულში ამოყო თავი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დაწყების წინ კი უკვე მე-12 გახდა.

ფინალურ ორთაბრძოლაში მან, მართალია, ერთი სეტის მოგებაც ვერ შეძლო, მაგრამ მაინც ურიგოდ არ უთამაშია და 15 ათას მაყურებელზე მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვა. საინტერესოა, რომ ამ ასპარეზობის ფინალში ორი ამერიკელი უკანასკნელად 15 წლის წინ გავიდა.

სამპრასს არც ამჯერად უმტყუნა მთავარმა იარაღმა — უძლიერესმა მოწოდებამ, რომლის ეფექტურობამ ამჯერად იშვიათ მაჩვენებელს — 85 პროცენტს მიაღწია.

22 წლის ამერიკელმა „დიდი სლემის" ზედიზედ მესამე ტურნირი მოიგო და ვერცხლის ლამაზ თასთან ერთად, იჯევე როგორც გრაფმა, 322 ათასი დოლარის ქვითარიც მიიღო.

გია ახალაძე

## 1994 წლის ტურნირების განრიგი

ბოლო მონაცემი ტურნირის საპრიზო ფონდია (ამერიკულ დოლარებში)

### ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| **თებერვალი** | | |
| 31.1-6 | დუბაი, საემიროები | 1 038 750 |
| 7-13 | მილანი, იტალია | 813 750 |
| | მემფისი, აშშ | 600 000 |
| 14-20 | შტუტგარტი, გფრ | 2 250 000 |
| | ფილადელფია, აშშ | 713 750 |
| 21-27 | როტერდამი, ჰოლ. | 600 000 |
| | სკოტსდეილი, აშშ | 313 750 |
| | მეხიკო, მექსიკა | 325 000 |
| 28-6.3 | ინდიან-უელსი, აშშ | 1 725 000 |
| | კოპენჰაგენი, დანია | 213 750 |
| **მარტი** | | |
| 7-13 | კი-ბისკეინი, აშშ | 1 875 000 |
| | სარაგოსა, ესპანეთი | 225 000 |
| 14-20 | კასაბლანკა, მაროკო | 213 750 |
| 21-23 | დევისის თასი. მეოთხედფინალი | |
| 28-3.4 | ქმტორილი, პორტუგ. | 525 000 |
| | ოსაკა, იაპონია | 650 000 |
| | დურბანი, ს. აფრიკა | 313 750 |
| **აპრილი** | | |
| 4-10 | ტოკიო, იაპონია | 1 053 750 |
| | ბარსელონა, ესპანეთი | 900 000 |
| 11-17 | ჰონკონგი | 320 000 |
| | ნიცა, საფრანგეთი | 313 750 |
| 18-24 | მონტე-კარლო | 1 720 000 |
| | სეული, კორეა | 213 750 |
| 25-1.5 | მადრიდი, ესპანეთი | 850 000 |
| | მიუნხენი, გფრ | 425 000 |
| | ატლანტა, აშშ | 313 750 |
| **მაისი** | | |
| 2-8 | ჰამბურგი, გფრ | 1 720 000 |
| 9-15 | რომი, იტალია | 2 000 000 |
| | კორალ-სპრინგსი, აშშ | 240 000 |
| 16-22 | ბოლონია, იტალია | 313 750 |
| 23-5.6 | საფრანგეთის ღია პირველობა | ჯერ უცნობია |
| **ივნისი** | | |
| 6-12 | ლონდონი, ინგლისი | 622 000 |
| | როსმალენი, ჰოლანდ. | 313 750 |
| | ფლორენცია, იტალია | 313 750 |
| 13-19 | ჰალე, გფრ | 525 000 |
| | მანჩესტერი, ინგლისი | 215 000 |
| | გენუა, იტალია | 313 750 |
| 20-3.7 | უიმბლდონი | ჯერ უცნობია |
| **ივლისი** | | |
| 4-10 | გშტაადი, შვეიცარია | 400 000 |
| | ბაასტადი, შვედეთი | 313 750 |
| | ნიუპორტი, აშშ | 240 000 |
| 11-13 | დევისის თასი. მეოთხედფინალი | |
| 18-24 | შტუტგარტი, გფრ | 1 040 000 |
| | ვაშინგტონი, აშშ | 650 000 |
| 25-31 | ტორონტო, კანადა | 1 726 000 |
| | ჰილვერსუმი, ჰოლ. | 300 000 |
| **აგვისტო** | | |
| 1-7 | კიცბუელი, ავსტრია | 400 000 |
| | პრაღა, ჩეხეთი | 365 000 |
| | ლოს-ანჯელესი, აშშ | 313 750 |
| 8-14 | სინსინატი, აშშ | 1 720 000 |
| | სან-მარინო | 300 000 |
| 15-21 | ინდიანაპოლისი, აშშ | 1 040 000 |
| | ნიუ-ჰეივენი, აშშ | 1 040 000 |
| 22-28 | უმაგი, ხორვატია | 400 000 |
| | ლონგ აილენდი, აშშ | 313 750 |
| | სკენექტადი, აშშ | 313 750 |
| 29-11.9 | აშშ ღია პირველობა | ჯერ უცნობია |
| **სექტემბერი** | | |
| 12-18 | ბუქარესტი, რუმინეთი | 550 000 |
| | ბორდო, საფრანგეთი | 400 000 |
| | ბოგოტა, კოლუმბია | 313 750 |
| 19-21 | დევისის თასი. ნახევარფინალი | |
| 26-2.10 | ბაზელი, შვეიცარია | 800 000 |
| | პალერმო, იტალია | 315 000 |
| | კუალა ლუმპური, მალ. | 400 000 |
| **ოქტომბერი** | | |
| 3-9 | სიდნეი, ავსტრალია | 1 013 750 |
| | ტულუზა, საფრანგეთი | 400 000 |
| | ათენი, საბერძნეთი | 213 750 |
| 10-16 | ტოკიო, იაპონია | 1 013 750 |
| | ოსტრავა, სლოვაკეთი | 315 000 |
| | თელ-ავივი, ისრაელი | 275 000 |
| 17-23 | ლიონი, საფრანგეთი | 600 000 |
| | ვენა, ავსტრია | 525 000 |
| | პეკინი, ჩინეთი | 320 000 |
| 24-30 | სტოკჰოლმი, შვედეთი | 1 720 000 |
| | სანტ-იაგო, ჩილე | 213 750 |
| 31-6.11 | პარიზი, საფრანგ. | 2 250 000 |
| | სან-პაულუ, ბრაზილია | [illegible] |
| **ნოემბერი** | | |
| 7-13 | ანტვერპენი, ბელგია | 1 125 000 |
| | მოსკოვი, რუსეთი | 353 750 |
| | ბუენოს-აირესი, არგ. | 313 750 |
| 14-20 | ATP მსოფლიოს ჩემპიონატი ფრანკფურტი, გფრ | 3 000 000 |
| 23-27 | ATP მსოფლიოს ჩემპიონატი წყვილებში. იოჰანესბურგი, ს. აფრიკა | 1 300 000 |
| 28-30 | დევისის თასი. ფინალი | |
| **დეკემბერი** | | |
| 6-11 | „დიდი სლემის" თასი მიუნხენი, გფრ | 6 000 000 |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| **თებერვალი** | | |
| 31.1-6 | ტოკიო, იაპონია | 750 000 |
| | ოკლენდი, ზელანდია | 100 000 |
| 7-13 | ჩიკაგო, აშშ | 400 000 |
| | ლინცი, ავსტრია | 150 000 |
| | ოსაკა, იაპონია | 150 000 |
| 14-20 | პარიზი, საფრანგეთი | 400 000 |
| | ოკლაჰომა-სიტი, აშშ | 150 000 |
| | პეკინი, ჩინეთი | 150 000 |
| 21-27 | ინდიან-უელსი, აშშ | 400 000 |
| | სან-ხუანი, პუერტო-რიკო | 150 000 |
| 28-6.3 | დელრეი-ბიჩი აშშ | 400 000 |
| **მარტი** | | |
| 11-20 | კი-ბისკეინი, აშშ | 1 000 000 |
| 21-27 | ჰიუსტონი, აშშ | 400 000 |
| 28-3.4 | ჰილტონ-ჰედი, აშშ | 750 000 |
| **აპრილი** | | |
| 4-10 | ამელია-აილენდი, აშშ | 400 000 |
| | ტოკიო, იაპონია | 150 000 |
| 11-17 | პატაია, ტაილანდი | 100 000 |
| 18-24 | ბარსელონა, ესპ. | 400 000 |
| | კუალა-ლუმპური, მალ. | 100 000 |
| 25-1.5 | ჰამბურგი, გფრ | 400 000 |
| | ტარანტო, იტალია | 100 000 |
| | ჯაკარტა, ინდონეზია | 100 000 |
| **მაისი** | | |
| 2-8 | რომი, იტალია | 750 000 |
| | ლიეჟი, ბელგია | 100 000 |
| 9-15 | ბერლინი, გფრ | 750 000 |
| | პრაღა, ჩეხეთი | 100 000 |
| 16-22 | სტრასბური, საფრ. | 150 000 |
| | ლიუცერნი, შვეიცარია | 150 000 |
| 23-5.6 | საფრანგეთის ღია პირველობა | ჯერ უცნობია |
| **ივნისი** | | |
| 6-12 | ბირმინგემი, ინგლისი | 150 000 |
| 13-19 | ისტბორნი, ინგლისი | 400 000 |
| 20-3.7 | უიმბლდონი | ჯერ უცნობია |
| **ივლისი** | | |
| 4-10 | პალერმო, იტალია | 100 000 |
| 11-17 | კიცბუელი, ავსტრია | 150 000 |
| 18-24 | ფედერაციის თასი ფრანკფურტი, გფრ | ჯერ უცნობია |
| 25-31 | სტრეტონ-მაუნტინი, აშშ | 400 000 |
| | შტირია, ავსტრია | 100 000 |
| **აგვისტო** | | |
| 1-7 | სან-დიეგო, აშშ | 400 000 |
| 8-14 | მანჰეტენ-ბიჩი აშშ | 400 000 |
| 15-21 | მონრეალი, კანადა | 750 000 |
| 22-28 | სკენექტადი, აშშ | 150 000 |
| 29-11.9 | აშშ ღია პირველობა | ჯერ უცნობია |
| **სექტემბერი** | | |
| 12-18 | ჰონკონგი | 150 000 |
| 19-25 | ტოკიო, იაპონია | 400 000 |
| 26-2.10 | ლაიფციგი, გფრ | 400 000 |
| | საპორო, იაპონია | 100 000 |
| **ოქტომბერი** | | |
| 3-9 | ციურიხი, შვეიცარია | 750 000 |
| | ტაიპეი, ტაივანი | 100 000 |
| 10-16 | ფილდერშტადტი, გფრ | 400 000 |
| | მონპელიე, საფრანგ. | 100 000 |
| 17-23 | ბრაიტონი, ინგლისი | 400 000 |
| | ბუდაპეშტი, უნგრეთი | 100 000 |
| 24-30 | ესენი, გფრ | 400 000 |
| | კურიტიბა, ბრაზილია | 100 000 |
| 31-6.11 | ოკლენდი, აშშ | 400 000 |
| | კვებეკი, კანადა | 150 000 |
| **ნოემბერი** | | |
| 7-13 | ფილადელფია, აშშ | 750 000 |
| 14-20 | „ვირჯინია სლიმზის" მსოფლიოს ჩემპიონატი ნიუ-იორკი, აშშ | 3 500 000 |

## ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულები 1969 წლიდან

1986 წელს ტურნირი არ გამართულა 1977 წელს ორჯერ გაიმართა

### ქალები

| | |
|---|---|
| 1969 | მარგარეტ კორტი |
| 1970 | მარგარეტ კორტი |
| 1971 | მარგარეტ კორტი |
| 1972 | ვირჯინია უეიდი |
| 1973 | მარგარეტ კორტი |
| 1974 | ივონ გულაგონგი |
| 1975 | ივონ გულაგონგი |
| 1976 | ივონ გულაგონგი |
| 1977 | კერი რეიდი |
| 1977 | ივონ გულაგონგი |
| 1978 | კრის ო'ნილი |
| 1979 | კეტი ჯორდანი |
| 1980 | ჰანა მანდლიკოვა |
| 1981 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1982 | კრის ევერტი |
| 1983 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1984 | კრის ევერტი |
| 1985 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1987 | ჰანა მანდლიკოვა |
| 1988 | შტეფი გრაფი |
| 1989 | შტეფი გრაფი |
| 1990 | შტეფი გრაფი |
| 1991 | მონიკა სელეში |
| 1992 | მონიკა სელეში |
| 1993 | მონიკა სელეში |
| 1994 | შტეფი გრაფი |

### ქალთა წყვილები

მარგარეტ კორტი — ჯუდი ტეგარტი
მარგარეტ კორტი — ჯუდი დალტონი
მარგარეტ კორტი — ივონ გულაგონგი
ჰელენ გურლი — კერი ჰარისი
მარგარეტ კორტი — ვირჯინია უეიდი
ივონ გულაგონგი — პეგი მიჩელი
ივონ გულაგონგი — პეგი მიჩელი
ივონ გულაგონგი — ჰელენ გურლი
დაიან ფრომჰოლცი* — ჰელენ კოული
ფინალი გაუქმდა
ბეტსი ნაიჯელსენი — რენატა ტომანოვა
ჯუდი ჩალონერი — დაიან ევერსი
ბეტსი ნაიჯელსენი — მარტინა ნავრატილოვა
კეტი ჯორდანი — ენ სმიტი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი
იანა ნოვოტნა — ჰელენა სუკოვა
პეტი ფენდიკი — მერი ჯო ფერნანდესი
არანტა სანჩესი — ჰელენა სუკოვა
ჯიჯი ფერნანდესი — ნატალია ზვერევა
ჯიჯი ფერნანდესი — ნატალია ზვერევა

### მიქსტი

1969-85 არ გამართულა

ზინა გარისონი — შერვუდ სტიუარტი
იანა ნოვოტნა — ჯიმ პიუ
იანა ნოვოტნა — ჯიმ პიუ
ნატალია ზვერევა — ჯიმ პიუ
ჯო დიური — ჯერემი ბეიტსი
ნიკოლ პროვისი — მარკ ვუდფორდი
არანტა სანჩესი — ტოდ ვუდბრიჯი
ლარისა ნეილანდი — ანდრეი ოლხოვსკი

### ვაჟთა წყვილები

როი ემერსონი — როდ ლეივერი
ბობ ლუტცი — სტენ სმიტი
ჯონ ნიუკომბი — ტონი როუჩი
ოუენ დევიდსონი — კენ როზუოლი
მელ ანდერსონი — ჯონ ნიუკომბი
როს კეისი — ჯეფ მასტერსი
ჯონ ალექსანდერი — ფილ დენტი
ჯონ ნიუკომბი — ტონი როუჩი
არტურ ეში — ტონი როუჩი
რეი [illegible] — ალან სტოუნი
ვოიცეხ [illegible] — კიმ უორვიკი
პიტერ [illegible] — პოლ მაკნამი
მარკ ედმონდსონი — კიმ უორვიკი
მარკ ედმონდსონი — კიმ უორვიკი
ჯონ ალექსანდერი — ჯონ ფიცჯერალდი
მარკ [illegible] — პოლ მაკნამი
მარკ ედმონდსონი — [illegible] სტიუარტი
პოლ ანაკონი — [illegible]
სტეფან ედბერგი — ანდერს იარიდი
[illegible] — [illegible]
[illegible] — [illegible]
პეტერ [illegible] — [illegible]
სკოტ [illegible] — [illegible]
ტოდ ვუდბრიჯი — მარკ ვუდფორდი
დენი [illegible] — [illegible]
იაკო [illegible] — [illegible] ჰაარჰუისი

### ვაჟები

| | |
|---|---|
| როდ ლეივერი | 1969 |
| არტურ ეში | 1970 |
| კენ როზუოლი | 1971 |
| კენ როზუოლი | 1972 |
| ჯონ ნიუკომბი | 1973 |
| ჯიმი კონორსი | 1974 |
| ჯონ ნიუკომბი | 1975 |
| მარკ ედმონდსონი | 1976 |
| როსკო ტანერი | 1977 |
| ვიტას გერულაიტისი | 1977 |
| გილიერმო ვილასი | 1978 |
| გილიერმო ვილასი | 1979 |
| ბრაიან ტიჩერი | 1980 |
| იოჰან კრიკი | 1981 |
| იოჰან კრიკი | 1982 |
| მატს ვილანდერი | 1983 |
| მატს ვილანდერი | 1984 |
| სტეფან ედბერგი | 1985 |
| სტეფან ედბერგი | 1987 |
| მატს ვილანდერი | 1988 |
| ივან ლენდლი | 1989 |
| ივან ლენდლი | 1990 |
| ბორის ბეკერი | 1991 |
| ჯიმ კურიე | 1992 |
| ჯიმ კურიე | 1993 |
| პიტ სამპრასი | 1994 |

# ცეცხლთა ბრძოლა და თეთრი დათვების ამბავი

არსებობს ბერძნული ცეცხლი და ნორვეგიული ცეცხლი. რა ჰქნას ამ ორმა ცეცხლმა შეერთდეს, ცალ-ცალკე იგიზგიზოს თუ ერთ-ერთმა აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა და მეორის გამარჯვების ალსანიშნავად ჩაქრეს? ასეთი კითხვა, რომელიც ალბათ მხოლოდ ჰამლეტს ან აგული ერისთავს თუ დაებადებოდა, ზემოაღნიშნული ორი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტებს გაუჩნდათ. ის კი არა და პრობლემამ ლამის პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ნორვეგიის ეოკ-მა გადაწყვიტა ძველი ვიკინგების მეთოდით, ქვეყნის ყველაზე ჩრდილოეთ ადგილას — მორგენდალში, ნორვეგიული სათხილამურო სპორტის ცენტრში, ტრადიციული ბერძნულის პარალელურად აენთო მეორე ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელსაც მთელს სახელმწიფოს მოატარებდნენ და ოსლოში ჩაიტანდნენ. აქ კი მათი აზრით 5 თებერვალს მას ელინურს შეუერთებდნენ. სწორედ ამ გაერთიანებული ჩირაღდნიდან აპირებდნენ ისინი ლილეჰამერში ოლიმპიური ცეცხლის გაჩაღებას. ეს რომ ბერძნებმა გაიგეს ალშფოთდნენ და საქმე იქამდეც მივიდა, რომ საბერძნეთის კულტურის მინისტრი მელინა მერკური ოლიმპიადას პირადი ბოიკოტით დაემუქრა. თავის მხრივ ნორვეგიის პრემიერმა გრო ჰარლემ ბრუნდტლანდმა მორგენდალურ ცეცხლს ოლიმპიური უწოდა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობებიც კი შეირყა. შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება, რომლის შედეგადაც გადაწყდა, რომ ორი ჩირაღდანი ერთმანეთს ოსლოს მუნიციპალიტეტის შენობასთან შეხვდება და ამის მერე ლილეჰამერამდე გზას მისი ერთადერთი უდიდებულესობა — ნამდვილი ოლიმპიური ჩირაღდანი გააგრძელებს. გაივლა ცოტა ხანი და ნორვეგიელებმა მიხვდნენ, რომ გასული წლის 27 ნოემბერს დანთებული ცეცხლი, რომელმაც ქვეყნის დიდი ნაწილი ზარ-ზეიმით მოიარა, ჩასაქრობად ცოდვა იყო. მხარეები კვლავ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და დაადგინეს, რომ ვიკინგური ცეცხლი 5 თებერვალს ოსლოდან ლილეჰამერს გაემართება, სადაც 11-ში აანთებენ იმ ოლიმპიურ თასზე, რომელიც 1952 წელს ოსლოს თამაშების დროს ითვლებოდა მთავარ თასად. ბერძნული ჩირაღდანი კი, რომელსაც 4 თებერვალს ფინეთიდან შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ჩაიტანენ, 12 თებერვალს ჩაბრძანდება ლილეჰამერის ოლიმპიურ პარკში და იქაურ თასზე, რომელიც თავდაპირველად მოხსენიებული თასიდან საკმაო მანძილზეა, აგიზგიზდება. ოლიმპიადის გახსნის დღეს მორგენდალში დანთებულ ცეცხლს ოდნავ ჩაუწევენ, მთავარ მოვლენას ხელი რომ არ შეუშალოს, შემდეგ კი ისევ აუწევენ, რათა პარაოლიმპიადაზე, რომელიც იქვე 10 მარტს დაიწყება, ინვალიდი სპორტსმენებისთვის ოლიმპიურ სიმბოლოს სწორედ ის წარმოადგენდეს. მოითხოვენ თუ არა ბერძნები ინვალიდთათვისაც მათი ცეცხლის ლანთებას, ჯერ ცნობილი არ არის. ცეცხლოვანმა ისტორიამ ჯერ თუ არ დაგაბნიათ, იმასაც ვიტყვით, რომ ერთი პირობა შვედებმაც დაიწუწუნეს ოთხიდან თორმეტ თებერვლამდე საბერძნეთიდან ჩამოტანილ ცეცხლს რა ვუყოთ, სად შევინახოთო, თუმცა ეს იმდენად მნიშვნელოვანი ამბავი არ არის, მოიფიქრებენ რამეს.

Lillehammer '94





ემახობამე გასულ ორშაბათს, 24 იანვარს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში, რომელიც ლოზანაშია, შეიკრიბნენ მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ბოსები, მაღალი რანგის პოლიტიკოსები, სპორტსმენები და სხვა წარჩინებული ადამიანები, რომლებმაც მსოფლიოს ყველა მეომარს მოუწოდეს ოლიმპიადის დღეებში შეწყვიტონ ცეცხლი. როგორც ცნობილია, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გასული წლის ოქტომბერში, 1994 წელი მსოფლიოში მშვიდობისა და ოლიმპიური იდეალების წლად გამოაცხადა. „ჩვენ კარგად ვუწყით, რომ ჩვენი შესაძლებლობანი შეზღუდულია — თქვა ლოზანაში სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა — თუმცა თუ სადმე იოტისოდენა იმედი მაინც არის, იგი უნდა გამოვიყენოთ". სოკ-ის ხელმძღვანელებმა ბოლო დროს თავად მოიარეს ცხელი წერტილები და მეომარ მხარეებს ესაუბრნენ. „აქ, შვეიცარიის მშვენიერ, დაწყნარებულ ქალაქში ადვილია მშვიდობაზე საუბარი, მაგრამ მოდით ნუ დავივიწყებთ, რომ აქვე, ყურის ძირში, ბალკანეთის მიწაზე ომმა და ნგრევამ ათასობით სიცოცხლე შეიწირა" — განაცხადა გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ სემუელ ინსანალიმ. შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ფლავიო კოტიმ კი იმედი გამოთქვა, რომ მოწოდებას, ოლიმპიადის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დაპირისპირებული მხარეები შეისმენენ. ლოზანის შეკრების მონაწილეთა აზრით ჩვენ, მე-20 საუკუნის ადამიანებს სწავლა გვმართებს ძველ ბერძენთაგან, რომლებიც ანტიკური ოლიმპიადების დროს ხმალს ქარქაშში აგებდნენ და დროებით ზავდებოდნენ. ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს.

თავად ლილეჰამერში კი გამალებული სამზადისია. ეს ქალაქი, რომელიც ოდითგანვე პროვინციული ქალაქებისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით იყო ცნობილი, თითქოს ომისთვის იჭერს თადარიგსო. მობილიზებულია 2770 პოლიციელი და სამხედრო, რომელთაც 1200 მოხალისე უდგას გვერდში. მათ ორგანიზებაზე მთავრობამ 350 მილიონი ნორვეგიული კრონი გამოჰყო (გასული კვირის კურსით 7,5 ნორვეგიული კრონი ერთი ამერიკული დოლარის ტოლფასია). ეს „არმია" თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში ჩასულ სპორტსმენებს, სტუმრებს და მაყურებლებს დაიცავს. მასპინძელმა წესრიგის დამცველებმა საგანგებოდ დაამუშავეს სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც შეჯიბრებათა მონაწილეებს, ამ ბოლო დროს მოდური ქცევისგან, კონკურენტთა გულშემატკივრებისა და მეუღლეების მიერ მათი დაჭრა-დასახიჩრებისაგან დაიცავს. არის ერთი პრობლემაც, ეკოლოგიური ორგანიზაციის „გრინპისის" აქტივისტები ნორვეგიული ვეშაპსაჭერი წარმოების წინაალმდეგ მიმართულ აქციებს სწორედ სალილეჰამეროდ ამზადებენ.

ბუნებრივია ოლიმპიადამ მასპინძელთა ქვეყანას დიდძალი შემოსავალი უნდა მოუტანოს. თამაშების ორგკომიტეტმა გამოსცა 148 გვერდიანი ბროშურა, რომელშიც ნორვეგიულად, ინგლისურად და ფრანგულად წერია ოლიმპიადის სპორტული და კულტურული პროგრამა, ადრინდელი ზამთრის ოლიმპიადების ისტორია და მრავალი სხვა საინტერესო ინფორმაცია. ბროშურა სავსეა ფოტოებით. ამ ცნობარის გამოსაცემად 3,8 მილიონი კრონი დაიხარჯა, მოგებას კი 6,8 მილიონს ელიან. წიგნის ტირაჟია — 178500.

ლილეჰამერელები თითოეულ გროშს ითვლიან, ყველაფერს სწონიან და ზომავენ. ქალაქის მერმა აუდუნ ტრონმა უარი შეუთვალა საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიის მუნიციპალიტეტს ამ ორი ქალაქის დაძმობილებაზე. საბერძნეთი ჩვენგან ძლიერ შორს არის, დაძმობილება ჩვენს ხაზინას ფულს მოაკლებს, ამიტომაც თავს ვიკავებ. საახალწლო მილოცვის ბარათს კი ბერძნებს ყოველგვარი იურიდიულად გაფორმებული ძმობის გარეშეც გავუგზავნიო, უთქვამს მერს. არადა ლილეჰამერს რვა ძმობილი ქალაქი ჰყავს თურმე.

ახლა ფასებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თავად ნორვეგიელებს, რომელთაც სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი ფასებით ვერ გააკვირვებ, აოცებთ შავ ბაზარზე შეჯიბრებათა ბილეთის ღირებულება. თუ თქვენ გახსნის ცერემონიალზე დასწრება გსურთ, კეთილი ინებეთ და 4 ათასი ან 7 ათასი კრონი გადაიხადეთ. თუ დოლარი გაქვთ, მაშინ — 548 ან 960. ბილეთების სიძვირის მიხედვით მეორე ადგილზეა ჰოკეის ფინალური მატჩი — 3 ათასი კრონი. სულ გადაირივნენ ლილეჰამერის სასტუმროებისა და რესტორნების პატრონნი. „ისინი ნორვეგიას მთელი მსოფლიოს წინაშე თავს მოჭრიან" — თქვა ქვეყნის სასტუმროთა და რესტორანთა მუშაკების კავშირის ვიცე თავმჯდომარემ ბირგერ ჰანსენმა. თურმე გამოითვალეს და ნახეს, რომ ოლიმპიადის დედაქალაქი თებერვალში შესაძლოა პლანეტის უძვირეს ადგილად იქცეს. სასტუმრო — დღე-ღამეში რამდენიმე ათასი კრონი, რესტორანში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სადილი — ათას კრონზე მეტი. ჰანსენს ეთანხმება თავად თამაშების ორგკომიტეტის თავმჯდომარე გერჰარდ ჰაიბერგი, რომელიც თვლის, რომ ასეთი გაძვირებით ლილეჰამერის პრესტიჟი დაეცემა. „ეს უბრალოდ უსინდისობაა! განა შეიძლება ასე უცერემონიოდ მიაძლე ოლიმპიადას? თუ ფასები ამგვარად გაიზარდა, ეს ოლიმპიადის რეგიონში კატასტროფის ტოლფასი იქნება" — განაცხადა მან. ოლიმპიადის შეფები ტყუილად არ შიშობენ, ვინაიდან მათ დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ურჩევნიათ. მათი აზრით ზამთრის თამაშები ქალაქს სახელს მოუხვეჭს და ისინი მომავალში საშუალო ტურისტულ ადგილს, ევროპული მასშტაბის უძლავრეს საკურორტო ცენტრად აქცევენ. დღეს კი რა ემუქრებათ მათ? ჟურნალისტები მთელს მსოფლიოს მოსდებენ, რომ ახალაშენებულ სასტუმრო „ტრასეტ პარკში" ერთი ღამის გათენება 560 დოლარი ჯდება, ხოლო ნახევარი ლიტრი ლუდი ხუთი-რვა დოლარი. ერთ გერმანულ გაზეთს უკვე უხუმრია, ლუდის ნორვეგიული ფასების შემხედვარეთ, თეთრ დათვებსაც თათებზე შემაცივნათო.

ორგკომიტეტის თავმჯდომარე გერჰარდ ჰაიბერგი, როგორც ჩანს დიდად მოხერხებული კაცია. იგიც შეჯიბრებაში ჩართულა, ოღონდ მისი პაექრობა სხვა მასშტაბისაა. იგი ერთ-ერთი მსხვილი კონცერნის პრეზიდენტობაზე აცხადებს პრეტენზიას და ბიზნესმენთა აზრით, კონკურენტებს მოუგებს ამ თანამდებობისთვის ბრძოლას. ასეა თუ ისე, ჰაიბერგი და მისი კოლეგები სულაც არ შეუწუხებია იმას, რომ შვედეთიდან მომავალი „რენო-ესპასის" რვა კომფორტული ავტომობილი, რომლებიც ოლიმპიადის ოფიციალური პროგრამისთვის იყო გამოყოფილი, გზაზე დაიწვა. ხანძარი მათი რადიოანტენების მაღალი ძაბვის მავთულებთან შეხების შედეგად გაჩაღდა. თუმცა ეს დიდი დანაკლისი არ ყოფილა, რადგან შვედური კონცერნი „ვოლვო" ორგკომიტეტს იმავე ტიპის 800 მანქანას აწვდის. მათი ნახევარი უკვე ლილეჰამერშია. აქვე დავძენთ, რომ ნორვეგიაში საქართველოს დელეგაციასაც ეყოლება თავისი მანქანა, რომელიც იტალიაში მცხოვრებ ქეთევან ბატონიშვილს საგანგებოდ ამ საქმისთვის შეუძენია. ამბობენ მანქანა მთლად გამართული ვერ არის, ნორვეგიაში ჩასვლამდე რამდენჯერმე სარემონტოც გახდაო, მაგრამ ეგ არაფერი.

ბოლოს კი იმას ვიტყვით, რომ ზამთრის ოლიმპიადებს სულ ახალ-ახალი ქვეყნები უერთდება. წლეულს დებიუტანტია ტროპიკული ტაილანდი, რომელსაც ერთი სამთო მოთხილამურე და ერთიც ფრისტაილის ოსტატი გამოჰყავს.

ილია ბაბუნაშვილი

## ტრაგედია

შაბათს, სამხრეთ გერმანიის სამთო-სათხილამურო ცენტრ გარმიშ-პარტენკირხენში, მსოფლიო თასის პროგრამით მიმდინარე სწრაფდაშვების დროს ტრაგიკულად დაიღუპა 26 წლის ავსტრიელი ქალი ულრიკე მაიერი, ვინც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო სუპერ-გიგანტში. მაიერს გაუმარჯვნია 1989 და 1991 წლებში, შესაბამისად ველი-კოლორადოში (აშშ) და ზალბახში (ავსტრია).

ტრასა მოყინული იყო, ალაგ-ალაგ კი თოვლი ეყარა. მაიერი 100 კმ/სთ სიჩქარით მიექანებოდა, როცა გზის ბოლოს თოვლზე მოხვდა, მარჯვენა თხილამური მოერყა, დროის საზომ მოწყობილობას შეეჯახა, დაეცა, რამდენჯერმე გადაბრუნდა და გონება დაკარგა. როგორც გაირკვა, ულრიკეს საკუთარი თხილამური მოხვდა სახეში და კისერი მოსტეხა. ექიმთა მცდელობის მიუხედავად — ჯერ ტრასაზე, მერე კი საავადმყოფოში, სადაც დაშავებული შვეულმფრენით მიიყვანეს, მოთხილამურე სამ საათში გარდაიცვალა, მისი სამი წლის ქალიშვილი მელონი კი დაობლდა. მაიერი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სამთო-სათხილამურო სპორტის 22-ე მსხვერპლი შეიქნა.

## აქეთური, იქითური

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წელსვე მსოფლიოს ერთი ჩემპიონი [illegible] მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის. მაისში ან ნიუ-ჯერზის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში, ანაც ნევადის ქალაქ რინოში საბჭოს მსოფლიო ჩემპიონი, ბრიტანელი ლენოქს ლუისი ტიტულს დაიცავს მაიამელ ფილ ჯექსონთან შერკინებაში, ხოლო ფედერაციისა და ასოციაციის ჩემპიონი, ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდი ასევე გაზაფხულზე თანამემამულე პრეტენდენტ მაიკლ მორას უნდა ეჩხუბოს. როგორც ვარაუდობენ, ამ მატჩების მერე ხელი ველარაფერმა უნდა შეუშალოს ერთპიროვნული ჩემპიონის გამოსავლენი ბრძოლის გამართვას.

*

წინა კვირაში კრიკეტში ორი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ავსტრალიის კაპიტანმა ალან ბორდერმა ადელაიდაში, სამხრეთ აფრიკასთან თამაშისას 84 გარბენიც მიითვალა და ტესტებში მოგროვილი გარბენებით 11 ათასსაც გადააჭარბა, ბანგალორში კი, სადაც ინდოეთმა მორიგი შავი დღე აყარა შრი ლანკას, ინდოელმა კაპილ დევმა ერთი ბჯეც დალეწა და გადააჭარბა წინა რეკორდს, ახალზელანდიელ სერ რიჩარდ ჰედლის რომ ეკუთვნოდა და 431 ბჯეს უდრიდა.

*

გოლფის ევროპული ტური წელს პირველად შეაბიჯებს აღმოსავლეთ ევროპაში: 13-16 ოქტომბერს პრაღაში ჩეხეთის ღია პირველობა გაიმართება.

*

„ვითბერდის" გარსაქვეყნო რბოლის ორგანიზატორებმა უარყვეს აშშ-ის 60 ფუტიანი იახტის „ვინსტონის" პროტესტი. ამერიკელები ითხოვენ დროის კომპენსაციის 21 საათამდე გაზრდას. საქმე ისაა, რომ მეორე ეტაპზე „ვინსტონი" მიეშველა იტალიის „ბრუქსფილდს", რომელსაც ავარია შეემთხვა, და ჩამორჩა. ჟიურიმ „ვინსტონს" თავიდან მართლაც 21-საათიანი კომპენსაცია დაუდგინა, მაგრამ მერე და მერე 17 საათამდე შეუმცირა, რის შედეგადაც იახტა თავის კლასში პირველიდან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა.

*

ავსტრალიის რაგბის კავშირმა ნაკრების საწვრთნელი შეკრების გაცდენის გამო 1 აპრილამდე მისცა დისკვალიფიკაცია კემპიზის, ჰორანის, ტაბუას, რაიანისა და ჯონსტონს, მაგრამ სასჯელი ერთობ სიმბოლურია, რაკიღა მსოფლიოს ჩემპიონ „ვოლაბებს" ივლისამდე თამაში არსად უწევთ; აი, მერე კი ირლანდიას, იტალიას, სამოასა და ახალ ზელანდიას უნდა უმასპინძლონ და ამ უკანასკნელს კიდეც ეწვიონ. რაც შეეხებათ მეზობელ ახალზელანდიელებს, მათ საფრანგეთისა და სამხრეთი აფრიკის დახვედრაც მოუწევთ. გარდა ამისა, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ გადაწყვიტეს, 1995 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობის ერთობლივი განაცხადი წარადგინონ სადაც ჭერ არს, თუკი შინაური პრობლემების გამო სამხრეთი აფრიკა შეჯიბრების გამართვას ვერ იკისრებს.

*

ფორმულა-1-ის სეზონი 27 მარტს, ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშებით იწყება, მაგრამ „მაკლარენს" ჯერჯერობით ერთადერთი მრბოლი, ფინელი მიკა ჰაკინენი ჰყავს. ამ ათი დღის წინ ხმა დაირხა, ალენ პროსტი ასპარეზს ისევ დაუბრუნდება და სწორედ ის იქნება „მაკლარენის" მეორე პილოტიო. ჭორი მყის უარყო „ვილიამსმა", რომელსაც პროსტთან კიდევ ჰქონია დარჩენილი ერთწლიანი კონტრაქტი. ასეა თუ ისე, განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა 24 მარტია. სხვა გუნდებშიც სიახლეებია. ჩრდილოეთირლანდიელი ედი ერვაინი „ჯორდანმა" დაიტოვა, ბრაზილიელი კრისტიან ფიტიპალდი კი „მინარდიდან" „ფუტვერქში" გადავიდა. რაც შეეხება „ბენეტონ-ფორდის" ფინელ მრბოლ ლეჰტოს, სილვერსტოუნზე ვარჯიშისას ავარიაში მოყვა და ხერხემალიც იტკინა, მაგრამ დასაპურებას ბეწვზე გადაურჩა და 8 კვირაში დაუბრუნდება სარბიელს.

*

გერმანელ მოცურავე ქალ სილვია გერაშს დაუმტკიცდა კოფეინის ხმარება, რის გამოც ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. გერაშმა შარშან ნოემბერში ევროპის პირველობა მოიგო 50 მეტრზე ბრასში.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაია, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მაჭარელი, მამუკა რიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)